ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

თამუნა ჩიხრაძე

საქორწინო ხელშეკრულება, როგორც მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობის რეგულირების ერთ-ერთი საფუძველი

ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი

გიორგი რუსიაშვილი

თბილისი

2019 წელი

სარჩევი

შესავალი 4

1.ქორწინების ცნება და არსი 6

1.1.ოჯახის ცნება და მისი ისტორიული წინამძღვრები..... 8

1.2.ქორწინების სამართლებრივი ბუნება..... 12

2.ქორწინების ფორმები რომაულ და ძველ ქართულ სამართალში..... 14

3.საქორწინო კონტრაქტის წარმოშობა და განვითარება 16

4.საქორწინო კონტრაქტი, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება 19

4.1. ინკვიზიციურობის პრინციპის შეზღუდვა საქორწინო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილ დავებზე 24

4.2.საქორწინო ხელშეკრულების ცნება 24

4.3. პირადი არაქონებრივი უფლებები, როგორც საქორწინო ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი..... 26

4.4. საქორწინო ხელშეკრულების მიზანი 27

5.საქორწინო ხელშეკრულების დადება, ფორმა და შინაარსი..... 29

5.1.საქორწინო ხელშეკრულების დადება 29

5.1.1. საქორწინო ხელშეკრულება პირობით გარიგებასთან კავშირში 32

5.1.2. საქორწინო ხელშეკრულების დადება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისა და მხარდამჭერის მიმღების მიერ..... 33

5.2. საქორწინო ხელშეკრულების ფორმა 35

5.3.საქორწინო ხელშეკრულების შინაარსი 40

5.3.1. საქორწინო ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობათა შეზღუდვა 41

5.3.1.1. დათქმა ცოლ-ქმრული ღალატის შესახებ, როგორც საქორწინო კონტრაქტის შემადგენელი ნაწილი 42

5.3.2. მოვალეობები, რომელთა შეცვლაც საქორწინო ხელშეკრულებით დაუშვებელია 43

6.საქორწინო კონტრაქტის შეცვლის, შეწყვეტისა და ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძვლები 45

6.1.საქორწინო ხელშეკრულების პირობების შეცვლა სასამართლოს მიერ..... 45

6.2. საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტა..... 46

6.3. საქორწინო ხელშეკრულების ბათილად ცნობა 48

7.საქორწინო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული კოლიზიური საკითხები საერთაშორისო სამართლის ჭრილში 49

დასკვნა 52

ბიბლიოგრაფია 54

შესავალი

კერთო საკუთრებით ურთიერთობებში არსებული პრინციპები იძლევა იმის აუცილებლობას, რომ ახლებურად იქნეს აღქმული და შესაბამისად, გააზრებული მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები. სოციალურ სახელმწიფოში მეუღლეებს გააჩნდათ შრომითი შემოსავალი კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და მოქმედი ნორმების შესაბამისად, რომლებსაც ისინი ვერ გადაუხვევდნენ. დღეის მდგომარეობით მოქმედი კანონმდებლობა იძლევა საშუალებას მეუღლეებს გააჩნდეთ კერძო საკუთრება, რომელთა გამოყენება მხოლოდ საოჯახო-სამართლებრივი მიზნებიდან გამომდინარე დაუშვებელია, რაც განაპირობებს მეუღლეთა საკუთრების სამართლებრივი რეჟიმის შეცვლას. იმისათვის, რომ არ მოხდეს მხარეთა ინტერესების უგულებელყოფა კანონი ამკვიდრებს მეუღლეთა სახელშეკრულებო-ქონებრივ, საქორწინო-საკონტრაქტო ურთიერთობას. კანონი შესაძლებლობას აძლევს მათ დადონ საქორწინო ხელშეკრულება და განსაზღვრონ თავიანთი ქონებრივი ურთიერთობების წარმოშობის, შეცვლის და შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლები. აღნიშნული კონტრაქტის დადება სავადებულო არ არის, რაც გამომდინარეობს სახელშეკრულებო პრინციპიდან, კერძო ავტონომიასთან, ნების თავისუფლად გამოხატვასთან დაკავშირებით. თუ მხარეები გადაწყვეტენ, რომ შევიდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობაში, ამით ისინი შეცვლიან კანონმდებლობით დადგენილ და დაწესებულ სამართლებრივ რეჟიმს, რომელიც შეეხება მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობებს და დაექვემდებარებიან იმ წესების სავალდებულო შესრულებას, რაც მხარეებმა კონტრაქტით გაითვალისწინეს. სხვა შემთხვევაში იმოქმედებს ის ზოგადი წესები, რასაც სამოქალაქო კოდექსი ადგენს მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით. თუ მეუღლეები გადაწყვეტენ სახელშეკრულებო წესებს დაუქვემდებარონ თავიანთი ქონებრივი ურთიერთობა, კონტრაქტი უნდა გააფორმონ ყველა იმ წესის დაცვით, რასაც კანონმდებლობა ადგენს ზოგადად სახელშეკრულებო ურთიერთობებთან დაკავშირებით.[1]

ჩემი სამაგისტრო ნაშრომის სათაურია ,, საქორწინო კონტრაქტი, როგორც მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობის რეგულირების ერთ-ერთი საფუძველი". ეს არის ინსტიტუტი, რომელიც საკმაოდ დიდი ხანია არსებობს, თუმცა, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ისეთ სამართლებრივად განვითარებულ ქვეყნებში, როგორებიცაა, გერმანია, შვეიცარია, დიდი ბრიტანეთი, საფრანდეთი და ა.შ, არც თუ ისე დიდი ხანია

[1] ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე ნ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბილისი 2000, გვ.127-129

,,მოიკიდა ფეხი“. თემა საკმაოდ მრავალფეროვანია. საზოგადოებაში არსებობს აზრთა სხვადახვაობა აღნიშნული საკითხის მიმართ. ნაწილი მას ღირებულ ,,ინსტრუმენტად“ მიიჩნევს და განქორწინების შემთხვევაში დავის გადაწყვეტის სამართლიან საშუალებად ეგულება. მეორე ნაწილი კი თვლის, რომ საქორწინო ხელშეკრულების დადება ზიანის მომტანია საოჯახო ურთიერთობებისათვის და უფრო ზრდის განქორწინების რისკს. ქართულ საზოგადოებაში, რომლის კანონმდებლობაც დიდი ხანია იცნობს აღნიშნულ ინსტიტუტს, არც თუ ისე კარგი დამოკიდებულება არსებობს ამ თემის მიმართ. ხალხს ბოლომდე არ აქვს გაცნობიერებული ამ ხელშეკრულების არსი და მნიშვნელობა . მათი აზრით ეს არის ზედმეტი პასუხისმგებლობა და შეიძლება მოუტანოს გართულებები ცოლ-ქმრულ ურთიერთობებს, რაც, ვფიქრობ, გამოწვეულია საზოგადოების დაბალი ცნობიერებით ამ თემატიკის მიმართ. ადამიანებს აქვთ ინფორმაციის ნაკლებობა, მათ არ ესმით საქორწინო ხელშეკრულების მიზანი. უმრავლესობა თვლის, რომ კონტრაქტი უნდა დაიდოს მხოლოდ შეძლებული ფენის წარმომადგენლებს შორის, ვისაც აქვს მაღალი შემოსავლის წყარო, რადგან ამ შემთხვევაში შეიძლება იარსებოს გასაყოფმა ქონებამ, განსხვავებით მცირე შემოსავლის მქონე წყვილებისაგან. თუმცა უნდა გვესმოდეს, რომ განქორწინების რისკი არსებობს ყოველთვის, ,,მუდმივი არაფერია“, ამიტომ, თუ ადამიანი დადგება განქორწინების ფაქტის წინაშე, უმჯობესია იყოს დარწმუნებული, იმაში, რომ განქორწინების პროცესი ჩაივლის მშვიდად, ყოველგვარი გართულებების, კონფლიქტებისა და აყალ-მაყალის გარეშე, რამაც შესაძლოა დიდი ზიანი მიაყენოს არასრულწლოვანი ბავშვის ფსიქიკასა და ინტერესებს.

წინამდებარე ნაშრომით შევეცდები წარმოვაჩინო ის დადებითი მხარეები, რაც გააჩნია საქორწინო ხელშეკრულებას, ასევე ვისაუბრებ იმ რისკებზე, რისი მომტანიც შეიძლება გახდეს იგი. თუმცა, საბოლოო ჯამში, დავრწმუნდებით, იმაში რომ, საქორწინო კონტრაქტის დადება ზიანზე უფრო მეტად სარგებლის მომტანია წყვილებისათვის და არათუ ხელს უწყობს მხარეთა განქორწინებას, არამედ ხდება უფრო კარგი გარანტი მყარი ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის. საქორწინო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დავები საქართველოში ძალიან მწირია, რასაც განაპირობებს თავად ამ ხელშეკრულების მიზანი, გახდეს იგი განქორწინების პროცესში სწორი ორიენტირი მხარეთა ინტერესების დაკმაყოფილებისათვის. საქორწინო ხელშეკურლების არსებობის პირობებში წარმართული დავა მიუთითებს თავად ხელშეკრულების შედგენის არასრულყოფილებასა და ნაკლოვანებაზე, ანუ მხარეებმა იმდენად დეტალურად უნდა გაწერონ თავიანთი მოთხოვნები ერთმანეთის მიმართ საქორწინო კონტრაქტით, რომ დავის არსებობის

პირობებში აღარ გახდეს საჭირო სასამართლოსათვის მიმართვა და ნების ნამდვილობის განმარტება.
წინამდებარე ნაშრომში საუბარი მექნება საქორწინო ხელშეკრულების ძირითად ასპექტებზე, როგორებიცაა, ხელშეკრულების მონაწილე სუბიექტები, მათი ქონებრივი და პირადი არაქონებრივი ურთიერთობები, მიმოვიხილავ საქორწინო კონტრაქტის წარმოშობის ისტორიას და მის ჩამოყალიბებას, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივ გარიგებად. ასევე, შევეხები ყველა იმ ძირითად ასპექტს, რაც დაკავშირებულია საქორწინო ხელშეკრულებასთან. გვექნება მთელი რიგი პარალელები სხვა ქვეყნის კანონმდებლობებთან მიმართებაში.

1.ქორწინების ცნება და არსი

ქორწინება ისტორიულად განიხილება, როგორც საფუძველი ოჯახში მორალისა და ცივილიზაციის შენარჩუნებისა.[2]
იურიდიულ ლიტერატურაში სხვადასხვა შეხედულება არსებობს ქორწინების შესახებ. ეს მოსაზრებები პირობითად შეგვიძლია დავყოთ სამ ნაწილად: პირველ მათგანს განეკუთვნება მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ქორწინება არის გარიგება, მეორე - ქორწინება არის მდგომარეობა, მესამე - ქორწინება წარმოადგენს პარტნიორობას. საინტერესოა სამართლის დოქტორის გიორგი თუმანიშვილის მოსაზრება ქორწინების ეტიმოლოგიურ წარმოშობასთან დაკავშირებით, კერძოდ 1. ასო ,,ქ" (ქანი) სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით, ნიშნავს ქრისტეს, ღმერთს. 2. სიტყვა ,,ორი" ნიშნავს ორს, ერთს და ერთს. 3. სიტყვა ,,წილი" ნიშნავს ნაწილს, მონაწილეს და 4. სიტყვა ,,ნება" ნიშნავს არჩევანს, ანუ ადამიანის თავისუფალ არჩევანს. გამომდინარე აქედან, სიტყვა ,,ქორწინება" ნიშნავს ღმერთის ორი დამოუკიდებელი ნაწილის მიერ გაკეთებულ არჩევანს.[3]
ქორწინება ოჯახის შექმნის ძირითად საფუძველს არ წარმოადგენს. ოჯახი შეიძლება წარმოიშვას დაუქორწინებელი ქალის მიერ ბავშვის გაჩენითაც. თუმცა, ვინაიდან ოჯახის შექმნის ძირითადი საფუძველი მაინც ქორწინებაა, მისი მარეგულირებელი ნორმები, რომლებიც კონკრეტულ სამართლებრივ შედეგებს განსაზღვრავენ, კანონმდებლის მიერ უპირატესად არის მიჩნეული. ადრე მოქმედი საოჯახო კანონმდებლობით არ იყო განსაზღვრული ქორწინების დეფინიცია და შესაბამისად, არ არსებობდა მისი

[2] Karen Nunez-Tesheira. Commonwealth Caribbean family law Husband, wife and cohabitant, New York 2016, p. 18
[3] თუმანიშვილი გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია 2010, გვ.31-32

მომწესრიგებელი კანონით დადგენილი ნორმები, რადგან იმ დროს ჩამოყალიბებული შეხედულების მიხედვით, იგი ვერ ამოწურავდა ამ ურთიერთობისათვის განსაზღვრულ ზნეობრივი მნიშვნელობის მქონე თვისებებს[4]. თუმცა, მას შემდეგ, რაც საზოგადოება განვითარების მაღალ საფეხურზე გადავიდა და გაჩნდა ინდივიდუალური ოჯახების შექმნის მოთხოვნილება, ქორწინება დღემდე ინარჩუნებს ადამიანური არსებობისა და ურთიერთობის საუკეთესო შესაძლებლობებს.[5]

ისტორიულად საქორწინო-საოჯახო ურთიერთობები ქრისტიანულ სახელმწიფოებში საეკლესიო კანონებით რეგულირდებოდა. ასე იყო საქართველოშიც, თუმცა ამ ურთიერთობებზე სახელმწიფოსაც მიუწვდებოდა ხელი. 1918 წელს საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს დავალებით შემუშავებული იქნა ერთიანი დებულება საეკლესიო ქორწინება-განქორწინების შესახებ, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას. იგი შეიცავდა ქორწინებისა და განქორწინებისათვის აუცილებელ პირობებს, რომელიც დამტკიცებულ იქნა 1920 წლის 3 ივლისს საქართველოს მეორე საეკლესიო კრებაზე[6], თუმცა, XX საუკუნის 20-იან წლებში სახელმწიფოს ჩარევის შედეგად ქორწინების წესების დადგენის საქმეში, ეკლესიას ჩამოერთვა ქორწინების აქტების ჩანაწერების უფლება და მისი წარმოება დაევალა ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებს.[7]

საქართველოში პირველად ქორწინებასა და ოჯახთან დაკავშირებული კონსტიტუციური ნორმებით განთავსებულ იქნა საქართველოს პირველ, 1921 წლის კონსტიტუციაში, რომელიც განამტკიცებდა ფუნდამენტურ პრინციპს, რომლის თანახმადაც ,,ქორწინება ემყარება უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას“ . ამავე ფუნდამენტურ პრინციპს იმეორებს 1995 წლის კონსტიტუციაც, იმ განსხვავებით, რომ 30-ე მუხლში ჩამატებულ იქნა სიტყვა მეუღლეთა. ,,ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.“ ვინაიდან აღნიშნული ნორმა არ ითვალისწინებს ქორწინებისა და ოჯახის ცნების განმარტებას, აუცილებელია დადგინდეს მათი მნიშვნელობა. ქორწინების ცნების კანონისმიერ განსაზღვრებას ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, რომლის მიხედვითაც ,,ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს

[4] ჩიკვაშვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 1999, გვ.33

[5] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი, თბილისი 2013, გვ.47

[6] ქანთარია ბ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თბილისი 2013 გვ.439

[7] ქანთარია ბ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თბილისი 2013, გვ.441

იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში. ამდენად, კანონი ადგენს მთელ რიგ პირობებს ქორწინების წარმოშობისათვის. პირველ რიგში კი, ეს არის ქალისა და მამაკაცის ნება ქორწინებს შესახებ, რომლის მიზანიც უნდა იყოს ოჯახის შექმნა.[8] აქ მნიშვნელოვანია ერთი დეტალი, კანონმდებელი იცავს მონოგამიის პრინციპს, რითაც უარყოფილია შეთანხმება პოლიგამიური კავშირების შესახებ. საქართველოს კანონმდებლობა კონტინენტური ევროპისა და ანგლოსაქსური სამართლის ქვეყნების მსგავსად იზიარებს ქორწინების მონოგამიურ მოდელს, განსხვავებით მუსლიმური სამართლისა და აფრიკის იმ ქვეყნებისაგან მსგავსად, სადაც პოლიგამია აღიარებულია.[9] ამასთან, იმისათვის რომ კარგად გვესმოდეს ქორწინების არსი, მნიშვნელოვანია განიმარტოს თუ რას წარმოადგენს ოჯახი.

1.1.ოჯახის ცნება და მისი ისტორიული წინამძღვრები

ოჯახი ეს არის მის წევრთა სამართლებრივი კავშირი, რომელსაც ხანგრძლივი წარსული და მრავალფეროვანი ისტორია აქვს. იგი განეკუთვნება სოციალურ მოვლენას და საზოგადოების განვითარებისათვის დამახასიათებელ ყველა მნიშვნელოვან პროცესსა და ცვლილებას ასახავს. სამართლის მეცნიერება ოჯახს მიიჩნევს, როგორც საოჯახო ურთიერთობების სუბიექტთა უფლება-მოვალეობების წარმოშობის წინაპირობას და არა როგორც დამოუკიდებელ სუბიექტს. საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურზე, როდესაც ადამიანები ჯოგებად ცხოვრობდნენ, მათ შორის არსებობდა მოუწესრიგებელი სქესობრივი ურთიერთობები. ამ დროისთვის არ იყო ჩამოყალიბებული ოჯახის საწყისი ფორმებიც კი. ჯოგის ყველა ქალი ჯოგის ყველა მამაკაცს ეკუთვნოდა. სქესთა შორის ურთიერთობა არავითარ შეზღუდვას არ ცნობდა.[10] პირველყოფილი მეურნეობის განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის შედეგად მოხდა ადამიანების ერთმანეთთან დაკავშირება, რის საფუძველზეც წარმოიქმნა ჯგუფები, რომელთა წევრთა ერთობლივმა შრომამ ჩამოაყალიბა მათ შორის მტკიცე ურთიერთობა და სისხლით ნათესაობა. ასე წარმოიშვა გვარი და გვაროვნული თემი, სადაც არსებობდა ერთგვარი წესრიგი. სქესობრივი ურთიერთობა შესაძლებელი იყო მხოლოდ ერთი კონკრეტული ჯგუფის წევრების მიერ მეორე კონკრეტული ჯგუფის წევრებთან ურთიერთობისას. თავად ამ ჯგუფის წევრთა შორის

[8] ქანთარია ბ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თბილისი 2013, გვ.441-442
[9] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 2015, გვ. 52
[10] ჯორბენაძე ს., საბჭოთა საოჯახო სამართალი, თბილისი 1957, გვ.12

ურთიერთობა აკრძალული არ ყოფილა, მაგრამ ჯგუფის მკაცრად განსაზღვრულობის გამო, სხვა ჯგუფის წევრებთან სქესობრივი კავშირი საზოგადოერბივი ნორმების უგულებელყოფას ნიშნავდა და ისჯებოდა კიდეც.[11]

მატრიარქატის განვითარებამ განაპირობა ჯგუფურიდან წყვილად ქორწინებაზე გადასვლის პროცესი, რა დროსაც ქალი თავად ირჩევდა ქმარს, თუმცა ეს არ იყო მისი სრული უპირატესობისა და თავისუფლების აღიარება. ამავე დროს, წყვილად ქორწინებაზე გადასვლა არ ნიშნავდა ინდივიდუალურ ოჯახს, იგი მოგვიანებით წარმოიშვა.[12] წყვილადი ოჯახის და ეგზოგამიის წარმოშობა ემთხვევა ადამიანის ბიოსოციალურ ჩამოყალიბებას, რომელიც გულისხმობს ერთი მამაკაცისა და ერთი ქალის შეუღლებას. ეს იყო ქალის უპირატესობის ეპოქა, რა დროსაც შვილები დედის გვარს ატარებდნენ, მემკვიდრეობას დედისგან იღებდნენ, ხოლო მამის ქონება მისი გვარში რჩებოდა და მის დისშვილებს უნაწილდებოდა. პატრიარქალური ოჯახი გახდა გარდამავალი პერიოდი წყვილადი ოჯახიდან მონოგამიური ოჯახის შექმნისაკენ, რა დროსაც მამაკაცი ქალთან შედარებით დაწინაურებულ მდგომარეობაში იყო. ქალი მამაკაცის გვარში მიდიოდა, შვილებიც მამის გვარში იზრდებოდნენ და მამის გვარს ატარებდნენ. პატრიარქალური ოჯახის განმტკიცებით შეიცვალა ქალის როლი, რომელსაც აეკრძალა ქმრის ოჯახის მიტოვება და მოეთხოვებოდა ქმრისადმი მკაცრი ერთგულება, რათა განმტკიცებულიყო მამაშვილობა. შეიქმნა გამოსასყიდისა და მზითვის ინსტიტუტი, რითაც ოჯახის წარმოშობა დაუკავშირდა არა სიყვარულს, არამედ კერძო საკუთრებასთან დაკავშირებულ ურთიერთობათა განვითარებას.[13]

საზოგადოების განვითარებასთან ერთად შეიცვალა ოჯახის ფუნქციაც, რომელთაგან ერთ-ერთ უმთავრესს წარმოადგენდა შთამომავლობის შექმნა. ოჯახში ხორციელდება ადამიანის, როგორც პიროვნების განვითარება, ამდენად, ოჯახის გარეშე აღზრდილ ბავშვებს უფრო ექმნებათ რისკი განუვითარებლობის, ვიდრე ოჯახის პირობებში გაზრდილ ბავშვებს. მათზე საზოგადოების ზეგავლენასთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია ოჯახის ზემოქმედების ფაქტორი[14].

თანამედროვე ტიპის პატარა ოჯახის წარმოშობა საქართველოში უკავშირდება V საუკუნეს, რომელშიც მშობლები და მათი შვილები მოიაზრებოდა. ტერმინი ოჯახი თურქული წარმოშობისაა. იგი კერას, სახლს, სახლეულს ნიშნავს და შედარებით გვიან არის დამკვიდრებული

[11] ჩიკვაშვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 1999, გვ.15-16

[12] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 2015, გვ.19

[13] ჩიკვაშვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობიტი სამართალი, თბილისი 1999, გვ.16-18

[14] ჩიკვაშვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 1999, გვ.21-22

საქართველოში, რომელიც პირველად გვხვდება სამოქალაქო ჰსჯულდებაში. მისი მსგავის ტერმინი ძველქართულში იყო სახლი, რომელიც თავდაპირველად მთელ გვარს ნიშნავდა.[15] მოგვიანებით ივანე ჯავახიშვილმა დაასაბუთა, რომ ,,უკვე V საუკუნეში საქართველოში სახლი არა მარტო საგვარეულოს და გვარს ნიშნავდა, არამედ ერთ ცოლქმრობაზე დამყარებულ ოჯახსაც, შემდგომში ხომ ამგვარი მნიშვნელობა უფრო და უფრო უნდა განმტკიცებულიყო".[16],ოჯახი სახლის ნაცვლად მოიხსენიება შუასაუკუნეების შემდგომ, რომლის პარალელურადაც გაჩნდა ტერმინი კომლი.[17] სამივე ტერმინი მეტ-ნაკლებად აღნიშნავს ცოლ-ქმრობაზე, ნათესაობასა და ქონების მფლობელობაზე დამყარებულ ურთიერთობას.[18]

თუმცა, თანამედროვე ქართულ ოჯახს სიყვარულის ნიადაგზე წარმოშობილი ქორწინება და ოჯახის წევრთა თანასწორობა უდევს საფუძვლად, რომელიც მეტად რთულ სოციალურ მოვლენას განეკუთვნება.[19] არსებობს მისი ზოგად-სოციოლოგიური და სპეციალურ-სამართლებრივი ცნებაც.[20] სამართლებრივი გაგებით, ოჯახი წარმოადგნეს მის წევრთა იურიდიულ კავშირს, რომელთა იურიდიულ ხასიათს განაპირობებს მათი რეგულირება სამართლებრივი ნორმებით, რაც იძლევა შესაძლებლობას სახელმწიფომ განახორციელოს ზედამხედველობა ოჯახის წევრთა ქცევაზე და დაუდგინოს მათ სავალდებულო წესების მოქმედება. თუმცა, არსებობს საოჯახო ურთიერთობათა ნაწილი, რომელიც ზნეობრივი ნორმებით რეგულირდება, ესენია ცოლ-ქმრული პატივისცემა, მშობლებისა და შვილების სიყვარული. ის ურთიერთობები, რომლებიც სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის მეტად ღირებული მნიშვნელობის კავშირებია, ექვემდებარება რეგისტრირებას. სწორედ ამგვარ საკითხს მიეკუთვნება ცოლ-ქმარს შორის არსებული რეგისტრირებული ქორწინება, რომელსაც გააჩნია კონსტიტუციური მნიშვნელობა. ამდენად, სამართლებრივი გაგებით, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ,,ოჯახი არის იმ პირთა წრე, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულები არიან ქორწინების, ნათესაობის შვილად აყვანის ან

---

[15] ჩიკვაშვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 1999, გვ.24

[16] ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წიგნი 2, თბილისი 1928, გვ.24

[17] ჯავახიშვილი ივ., ენციკლოპედიური ლექსიკონი, მთავარი რედაქტორი მეტრეველი რ., თბილისი 2002, გვ.516,597

[18] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 2015, გვ. 11

[19] ჩიკვაშვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 1999, გვ.24-26

[20] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 2015, გვ. 11

ბავშვის აღსაზრდელად მიღების სხვა ფორმების საფუძველზე წარმოშობილი უფლებებითა და მოვალეობებით.[21]

ოჯახის წევრთა ურთიერთობები რეგულირდება სამართლის სხვადასხვა დარგებით, რომლებიც განსხვავებულად განამტკიცებენ ოჯახის წევრთა ცნებას. ამდენად, მათთვის დამახასიათებელი ოჯახის ცნების სპეციფიკური მნიშვნელობის მხედველობაში მიღებით, შეგვიძლია განვსაზღვროთ იმ პირთა წრე, რომელსაც მოიცავს ოჯახის ცნება. საკითხი ოჯახის წევრთა წრის შესახებ დიდი და მოცულობითია. ამ საკითხის სწორად განპირობებულია ამ პირთა შორის, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტთა უფლების მოცულობაზე, არამედ განსაზღვრული ობიექტის მიერ ამ უფლების არსებობაზეც. სამართლის თითოეული დარგისთვის დამახასიათებელია ოჯახის წევრთა საკუთარი წრე.[22] თუ ოჯახის შექმნის ძირითად საფუძვლად ქორწინებას და ნათესაობას მივიჩნევთ, მაშინ ოჯახის წევრთა რიცხვს პირველ რიგში უნდა მივაკუთვნოთ მეუღლეები და მათი შვილები, რომლებიც ოჯახის ყველაზე მნიშვნელოვანი წრის წევრები არიან, ხოლო მეორე წრის წევრებს შეიძლება მივაკუთვნოთ მეუღლეთა მშობლები და და-ძმები, რადგან ნათესაობა გულისხმობს სისხლით კავშირს, თუმცა ოჯახის წევრობისთვის სავალდებულო იქნება მათი ცხოვრება ოჯახის პირველი წრის წევრებთან ერთად.[23]

მეცნიერები სხვადასხვა მოსაზრებების მიხედვით გვთავაზობენ ოჯახის უნივერსალურ ცნებას. თუმცა, ,,ცნების შედარებით სრულყოფილი ხასიათის მიუხედავად, ოჯახის ცნება მისი სპეციფიკიდან და სირთულიდან გამომდინარე, ვერასდროს იქნება სრულყოფილი, რადგან იგი ვერ ამოწურავს იმ საკითხებს, რომლის გარეშეც ოჯახის დეფინიცია იქნება უნივერსალური“. ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით ოჯახის ცნება უნდა იყოს ერთნაირი ყველა დარგისთვის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსიში, ხშირად არის გამოყენებული ტერმინი ახლო ნათესავი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დაბნეულობა, რადგან საოჯახო სამართლისათვის ახლო ნათესავის ცნების განსაზღვრისას მნიშვნელოვანია სისხლით ნათესაობა, მაშინ როცა სამოქალაქო საპროცესო სამართალი ახლო ნათესავთა წრე უფრო გაფართოებულია და მასში იგულისხმება როგორც სისხლით ნათესავები, ისე - მაგალითად, დანიშნული პირის ოჯახის წევრები. საოჯახო სამართალში გამოყენებული ახლო ნათესავის ცნების მიზანი უნდა იყოს საოჯახო ურთიერთობათა მოწესრიგება, რაც შეუძლებელი იქნება თუ კანონმდებელი

[21] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 2015, გვ. 13-14

[22] ჩიკვაშვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 1999, გვ.26-27

[23] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 2015, გვ. 15

მასში არ იგულისხმებს პირებს, რომელთაც არც თუ ისე მცირე მნიშვნელობა აქვს საოჯახო ურთიერთობებში, მაგალითად ძმის ცოლი და ა.შ.[24]
,,ოჯახი ლაკმუსის ქაღალდივით ასახავს ყველა იმ თავისებურებას, რომელიც დამახასიათებელია მთელი საზოგადოებისათვის მისი განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე. იგი საზოგადოების აქტიური ელემენტია და მუდმივად განიცდის ცვალებადობასა.“[25]

1.2.ქორწინების სამართლებრივი ბუნება

თანამედროვე საოჯახო სამართლალში გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, ქორწინება არის ქალსა და მამაკაცს შორის თავისუფალი, ნებაყოფლობითი და თანასწორუფლებიანი კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, რომელიც დამყარებულია ურთიერთსიყვარულსა და პატივისცემაზე, ხოლო ქორწინების რეგისტრაციის სავალდებულოობით სახელმწიფო განამტკიცებს დასაქორწინებელ პირთა სამართლებრივ მდგომარეობას, რადგან ოჯახი წარმოადგენს სამართლებრივი საზოგადოების ძირითად ნაწილს და მისი სიმტკიცე დამოკიდებული საზოგადოების განვითარებაზე. საოჯახო ურთიერთობათა რეგულირებისას სავალდებულოა სახელმწიფოს სიფრთხილე. სამართლებრივი რეგულაცია უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ იგი დაკავშირებული იყოს მაღალ საზოგადოებრივ ინტერესებთან. როგორც უკვე ავღნიშნეთ, ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის კავშირი, რომელიც რეგისტრირდება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში.[26] რელიგიური წესების შესაბამისად შემდგარი ქორწინება პირთა ინდივიდუალური არჩევანია და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგს[27]. საფრანგეთის, ბელგიის, შვეიცარიის, გერმანიის, ჰოლანდიის კანონმდებლობა აღიარებს მხოლოდ სახელმწიფო ორგანოში რეგისტრირებულ ქორწინებას, ხოლო ინგლისში, ავსტიაშ, აშშ-ს შტატებიდან უმრავლესობაში, ნორვეგიასა თუ, ფინეთში სახელმწიფო ორგანოებში რეგისტრირებული ქორწინებასთან ერთად მიღებულია ეკლესიაში ჯვარდაწერილი ქორწინება. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით რელიგიურ ქორწინება დასაშვებია მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინების

[24] ჩიკვაშვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 1999, გვ.27-31
[25] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 2015, გვ. 17
[26] სააგენტოს გარდა, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში სამოქალაქო აქტის რეგისტრაცია შესაძლებელია საზღვარგარეთ დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულოებში, ასევე ქვეყნის შიგნით, ქორწინება და განქორწინება - სანოტარო ბიუროებში.
[27],,ეს წესი არ შეეხება მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოს შექმნამდე შესრულებულ რელიგიურ წეს-ჩვეულებებს და მათ დამადასტურებელ დოკუმენტებს ქორწინების, განქორწინებისა და სხვათა შესახებ“.

შემდეგ და ავალდებულებს ეკლესიაში სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტის წარდგენას. [28] ქორწინების რეგისტრაციათა აღრიცხვით სახელმწიფო ადგენს ინფორმაციას დემოგრაფიული ვითარების შესახებ, კერძოდ, როგორია ქორწინებისა და განქორწინების სტატისტიკა, შობადობის სიხშირე და ა.შ.[29]

სახელმწიფო კანონის მეშვეობით ადგენს თუ როდის არის შესაძლებელი ქორწინების რეგისტრაცია და ამისათვის განსაზვღვრავს ორ ძირითად პირობას, ესენია: დასაქორწინებელ პირთა თანხმობა და საქორწინო ასაკი. ქორწინება დაიშვება 18 წლის ასაკიდან. ამ ასაკის დაწესება განპირობებულია მოსაზრებით, რომ ამ დროისათვის პირი არის სრულად ქმედუნარიანი შესაბამისად, აქვს შესაძლებლობა ეკონომიკური თუ გონებრივი თვალსაზრისით დამოუკიდებლად გაუძღვეს ოჯახს, რაც უფრო მეტად გახდება მყარი ოჯახის შექმნის საფუძველი.[30] ადრე მოქმედი კანონმდებლობით, კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის არსებობის პირობებში არასრულწლოვანს, 16 წლის ასაკიდან შეეძლო ქორწინება, რის შემდეგაც იგი მოიპოვებდა სრულ ქმედუნარიანობას, თუმცა კანონმდებლობაში განხორციელებულმა ბოლოდროინდელმა ცვლილებამ აღნიშნული ქმედება დაუშვებლად ცნობა. ქორწინების აუცილებელ და გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს დასაქორწინებელ პირთა ურთიერთთანხმობა. თანხმობა უნდა იყოს ნამდვილი, ანუ გაცნობიერებული, მხარეებს უნდა შეეძლოთ საკუთარი გადაწყვეტილების გააზრება და მათთვის სასურველი შედეგის მიღწევა.[31] ნების თავისუფალი გამოვლენა მთელი საოჯახო ურთიერთობის სიმტკიცის ამოსავალი პრინციპია. ამ პრინციპის არსებობა მნიშვნელოვანია, რადგან მისი დარღვევა ზოგჯერ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთანაც კი არის დაკავშირებული.[32]

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ ქორწინება არის ხელშეკრულება, ან შეთანხმება საპირისპირო სქესის წარმომადგენლებს შორის, რომელიც განამტკიცეს მხარეთა შორის სამართლებრივ უფლება-მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს.[33]

---

[28] ჩიკვაშვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 1999, გვ.36, სქოლიო N1.

[29] ჩიკვაშვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 1999, გვ.37

[30] ჩიკვაშვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 1999, გვ.44

[31] ჩიკვაშვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 1999, გვ.39

[32] ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე ნ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბილისი 2000, გვ.32

[33] Karen Nunez-Tesheira. Commonwealth Caribbean family law Husband, wife and cohabitant, New York 2016, p. 19

2.ქორწინების ფორმები რომაულ და ძველ ქართულ სამართალში

ქორწინება წარმოადგენს ადამიანთა ურთიერთობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და უძველეს ინსტიტუტს, რომელიც განაპირობებს საზოგადოების წევრთა განვითარებას. ქალსა და მამაკაცს შორის არსებული კავშირი დამოკიდებულია მხარეთა ნებაზე, რომელიც ხორციელდება გარიგების დადების გზით. რომის სამართალში ქორწინება დგებოდა მექორწინეთა ნება-სურვილით, იმგვარად, რომ მხარეები ითვალისწინებდნენ სახელმწიფო ინტერესებს. თუ სახელმწიფო არ აღიარებდა მხარეთა შორის ქორწინებას, იგი იყო ბათილი. რომაელი იურისტები ხაზგასმით უთითებენ მექორწინეთა ნებაზე ქორწინებაში ყოფნასთან დაკავშირებით. ამ სურვილის არ არსებობა იყო ქორწინების შეწყვეტის საფუძველი.[34] ქორწინების რომაული განმარტებას პირველად ეხება იურისტი მოდესტინუსი: ,,ქორწინება არის მამაკაცისა და ქალის კავშირი, მთელი ცხოვრების ერთიანობა, ღვთიური და ადამიანური სამართლის ერთობა“[35], რაც გულისხმობდა მეუღლეთა სამუდამო კავშირს და კრძალავდა განქორწინებას, თუმცა რომის სამართალი იცნობდა განქორწინების მრავალ საფუძველს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მოდესტინუსის აღნიშნული განმარტება არ იყო გამოყენებად და მიზნად ისახავდა იმდროინდელ გარყვნილ ურთიერთობათა აღმოფხვრას.[36]

რომაული კანონმდებლობა განამტკიცებდა ორი ტიპის ქორწინებას. ერთი, ეს იყო ნამდვილი ქორწინება, რომელიც საჯაროდ იყო აღიარებული და რეგისტრირდებოდა, როგორც ქალისა და მამაკაცის სამუდამო კავშირი, ხოლო მეორე იყო კონკუბინატი, ქალისა და მამაკაცის ფაქტობრივი კავშირი, გამრავლების მიზნით, რომელიც აწესრიგებდა ქალისა და მამაკაცის უფლება-მოვალეობებს, მემკვიდრეობის უფლებებს და სხვა , თუმცა აღნიშნულიც განმტკიცებული იყო კანონით. საინტერესოა არსებობდა თუ არა ეს ორი ტიპის ქორწინება საქართველოში. კონკუბინატი საქართველოში არ შეიძლება ყოფილიყო დასაშვები, თუმცა ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით საქართველოშიც ყოფილა უკანონო ქორწინება, რადგან ზოგიერთს ჰყავდა უკანონო ცოლი. მაგალითად, თამარ მეფის ისტორიკოსთა აღწერილობებიდან ირკვევა, რომ გიორგი მესამეს ჰყავდა ხარჭა. სამღვდელოება მას კრძალავდა და მრუშობად მიიჩნევდა.[37]

---

[34] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 2015, გვ. 59-60

[35] დიგესტები. წიგნი 23-ე, ტიტული მე-2, მუხლი 1-ლი

[36] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 2015, გვ. 61

[37] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 2015, გვ. 60-62

ცნობილი რუსი მეცნიერის ა.ი.პოკროვსკის განმარტებით რომში არსებობდა სამი ფორმის ქორწინება: რელიგიური ქორწინება - confarreatio, ყიდვით ქორწინება - coemptio და თხოვებით ქორწინება - usus. რელიგიური ქორწინება სრულდებოდა ათი მოწმის, ათი კურიის წარმომადგენლის თანდასწრებით, ქორწინებას ესრებოდნენ ქურუმებიც, ტარდებოდა მთელი რიგი რელიგიური რიტუალები, რა დროსაც მთავარი იყო ქალისა და მამაკაცის მიერ ნაკურთხი ხორბლის გასინჯვისა და იუპიტერისთვის შეწირვის რიტუალი. ამგვარი ქორწინება საქართველოში არ არსებობდა, იგი უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე სამოქალაქო გარიგება. ,,ქორწინება ერთსა და იმავე დროს განიხილება როგორც რელიგიური საიდუმლოება, ისე სამოქალაქო ხელშეკრულება".[38] ქორწინების მეორე ფორმა - სამოქალაქო ქორწინება, paterfamilias-გან ცოლის ყიდვა იყო, რომელიც თითქმის მონის ყიდვას ჰგავდა, რა დროსაც ცოლი ქმრის საკუთრების ქვეშ ექცეოდა, ხოლო, რაც შეეხება, ქორწინების მესამე ფორმას, იგი წარმოადგენდა ქალისა და მამაკაცის ხანგრძლივ ფაქტობრივ თანაცხოვრებას, რომელიც ჰგავდა ნივთზე სარგებლობისას ხანდაზმულობით მოპოვებულ საკუთრებას, რა დროსაც ქალი შედიოდა მამაკაცის ოჯახში მოლაპარაკების გზით, ერთი წლის ხანგრძლივობით. იგი იყო ფაქტობრივი მეუღლე და არ ითვლებოდა ქმრის ოჯახის წევრად. ის არ იყო ნივთი, ის იყო თავისუფალი. იმისთვის რომ თავისუფლება შეენარჩუნებინა, წელიწადში ერთხელ სამი დღე-ღამით გაიპარებოდა ქმრის ოჯახიდან.[39]

მნიშვნელოვანია პარალელი გავავლოთ რომში არსებულ ქორწინების ამ უძველეს ფორმებსა და საქართველოში მოქმედ საქორწინო წესებს შორის, რათა გავიგოდ ხომ არ არსებობს მათ შორის ისეთი კავშირი, რაც გვაფიქრებინებს, საქართველოსა და რომში მოქმედი ქორწინების წესების იდენტურობაზე. ,,გათხოვება" ქართულ ენაზე ქალის დაქორწინებას ნიშნავდა. საკითხავია საქართველოში ქორწინების თავდაპირველი ფორმა ხომ არ იყო ქალის შესვლა ოჯახში დროებით და არა სამუდამოდ? ქართული ტერმინის, ,,გათხოვების" შემოღებით სავარაუდოა, რომ მონოგამიური ოჯახის პირველი ფორმა იყო sine manuს ანუ ,,გათხოვება", როდესაც ქალი შედიოდა კაცის ოჯახში დროებით და არა სამუდამოდ, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ კი ქალი უბრუნდებოდა მამის ოჯახს, რადგან ამ დროისათვის ქალის ერთადერთი დანიშნულება გვარის გამრავლება იყო, რაც გვაფიქრებინებს, რომ თავდაპირველად საქართველოში იყო ,,გათხოვება" , ანუ sine manus.[40] საქართველოში ქორწინების თავდაპირველ წესებს ეხება

[38] ნადარეიშვილი გ., ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბილისი 1996, გვ.26

[39] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 2015, გვ. 63-65

[40] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 2015, გვ. 68-69

პროფესორი ივ. ჯავახიშვილი და აღნიშნავს, რომ უძველესი წყაროებიდან ძალიან ცოტა ცნობა არის შემორჩენილი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ისიც სხვადასხვა დროის, რომელიც ეხება ქორწინების წესების განვითარების სხვადასხვა ეტაპს. ეს ცნობები ძირითადად მოიცავს გაქრისტიანებულ საქართველოში მოქმედ წესებს, რომელიც მიზნად ისახავდა წარმართული ჩვეულებების აღმოფხვრას. უმეტესად კი საუბრობს წარსულსი მოქმედ ქალის მოტაცების ტრადიციაზე, რომელიც ქართველმა ერმა წარმატებით უარყო და ადგილი დაუთმო ქორწინებას მშვიდობიან შეთანხმების გზით.[41] საინტერესოა, არსებობდა თუ არა რომაული სამართლის მსგავსად საქართველოში coemptio, ანუ ცოლის ყიდვა ხელშეკრულებით. ი.ცურტაველის ,,შუშანიკი წამების" ანალიზის საფუძველზე, ზოგიერთ მეცნიერი ყიდვით ქორწინების ერთ-ერთი ფორმის არსებობად თვლის, ნაწარმოების შემდეგი მონაკვეთს, ,,მერმეცა იპოოს ვინმემ, რომელმან ესე შეიმკოს". [42] გარიგებით ქორწინების არსებობის ნათელი მაგალითია სვანური ადათ-წესების საფუძველზე შესრულებული ქორწინებაც, სადაც, თუ მრავალპუნქტიანი შეთანხმების, რომელიმე პუნქტი დაირღვეოდა გარიგება იშლებოდა.[43] ამდენად, რომაული სამართლის მსგავსად საქართველოშიც არსებობდა ქორწინების ისეთი უძველესი ფორმები, როგორიცაა: ქალის მოტაცებით ქორწინება , usus-ი, ,,გათხოვება" და sine manu-სი, გარიგებით ქორწინება.

ყოველივე ზემომსჯელობიდან გამომდინარე, შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ ქორწინება არის უძველესი ინსტიტუტი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა და ვითარდებოდა სხვადასხვა ფორმით და აძლევდა ქალსა და მამაკაცს შესაძლებლობას შეექმნათ ურთიერთსიყვარულზე დაფუძნებული მტკიცე ოჯახი, რასაც კიდევ უფრო განამტკიცებს საქორწინო ხელშეკრულების ინსტიტუტი.

3.საქორწინო კონტრაქტის წარმოშობა და განვითარება

საქორწინო ხელშეკრულების შესახებ საქართველოში მცირე პრაქტიკა არსებობს, ხოლო მისი წარმოშობის საკითხისადმი მეცნიერთა დამოკიდებულება მეტად ღიაა, ვინაიდან ამ მიმართულებით სათანადო სამეცნიერო კვლევა არ განხორციელებულა. მართალია საქართველოში მცირე პრაქტიკა არსებობს, მაგრამ საქორწინო ხელშეკრულება სამოქალაქო

[41] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 2015, გვ. 70-72

[42] ცურტაველი ი., წამება წმინდისა შუშანიკისა დედოფლისა, თბილისი 1979, გვ. 23

[43] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 2015, გვ. 84

სამართლის ერთ-ერთი უძველესი ინსტიტუტია. თუმცა მის წარმოშობასთან დაკავშირებით მკვლევართა შორის ერთიანი პოზიცია არ არის ჩამოყალიბებული. ერთ-ერთი გავრცელებული მოსაზრების თანახმად საქორწინო კონტრაქტის წარმოშობა უკავშირდება XVII საუკუნის ინგლისს, სადაც საქორწინო კონტრაქტის მიზნად ისახავდა გათხოვილ ქალთა უფლებებისა და საგვარეულო ქონების დაცვას.[44] იურისტთა მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ მისი წარმოშობა უკავშირდება ამერიკის შეერთებულ შტატებს, დაახლოებით 1905-1915 წლებში. თუმცა მეცნიერთა აღნიშნული მოსაზრებები საქორწინო კონტრაქტის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით შეიძლება ეჭვქვეშ დავაყენოთ. ამ პოზიციის გასამყარებლად კი შეგვიძლია მოვიშველიოთ პროფესორი გ.თუმანიშვილის მიერ ჩამოყალიბებული რამოდენიმე არგუმენტი, რაც მიუთითებს საქორწინო ხელშეკრულების ისტორიის წარმოშობის უფრო ადრინდელ პერიოდზე.

1. 1905 წლის ჰააგის კონვენცია მრავალ სხვა საკითხთან ერთად ეხებოდა საოჯახო-სამართებრივ, მათ შორის საქორწინო კონტრაქტთან დაკავშირებულ ნორმებს.
2. 1882 წლამდე ინგლისში მეუღლეთა საკუთრება წესრიგდებოდა საერთო სამართლის ნორმების მიხედვით, რომლის თანახმად, მეუღლეთა საკუთრება თითქმის სრულად წარმოადგენდა მეუღლე ქმრის ქონებას. ქალს არ ჰქონდა ქონებრივი დამოუკიდებლობა და შესაბამისად ვერ განკარგავდა თავის საკუთრებას, ვინაიდან იგი გადადიოდა მეუღლის საკუთრებაში, რომელსას სრულად თავად უძღვებოდა. 1882 წელს ინგლისში მიიღეს კანონი დაქორწინებული ქალების საკუთრების შესახებ. კანონი განამტკიცებდა ქალის უფლებას ქორწინებამდე და ქორწინების შემდგომ შეძენილი ქონება დაექვემდებარებინა მეუღლეთა წილობრივ საკუთრების რეჟიმს, რომელსაც გაამყარებდა საქორწინო ხელშეკრულებით.
3. 1835 წელს საფრანგეთში გამოქვეყნებულ ონორე დე ბალზაკის თხზულება, დასათაურებული იყო, როგორც ,,საქორწინო კონტრაქტი". აღნიშნულ თხზულებაში ბალზაკი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ დაიდო საქორწინო ხელშეკრულება ნაწარმოების ორ პერსონაჟს შორის. საფრანგეთის მოსახლეობისთვის არა თუ უცხო, არამედ ძალიან ნაცნობიც კი იყო საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტი და მისი მნიშვნელობა, რასაც განამტკიცებს იმ დროს მოქმედი საფრანგეთის

[44] ნაჭყებია ნ., მეუღლეთა სახელშეკრულებო ქონებრივი ურთიერთობა: უძრავ ქონებაზე უფლებათა რეგისტრაციის წესი და პირობები საქორწინო კონტრაქტის მიხედვით, ჟურნალი მართლმსაჯულება, 2008, გვ.76

კანონმდებლობითა, კერძოდ 1804 წლის საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში არსებული სამართალებრივი ნორმები.

4. მეცნიერების მიერ აღმოჩენილ იქნა 1754-1765 წლებში შედგენილი პორტუგალიელი ებრაელის კეთუბები, რომელიც შედგებოდა 10 ტომისაგან და 233 საქორწინო ხელშეკრულებისაგან. აღნიშნული კონტრაქტები შედგენილი იყო ტუნისის პორტუგალიური თემის სასამართლოს მოსამართლეებმა.
5. 1538 წელს ლანდერლოკიის ერთ-ერთ დასახლებაში გაფორმდა საქორწინო კონტრაქტი ვინმე მარტენ გერსა და ბერნარდა დე როლს შორის, რომლებიც იყვნენ 14 და 12 წლის.
6. მეექვსე არგუმენტი განსაკუთრებით ყურადსაღებია, ვინაიდან მისი საფუძელია უძველესი მასალები, კერძოდ 1893 წელს კუნძულ ელეფანტაინის ერთ-ერთ დასახლებაში მოიძიეს პაპირუსის რამოდენიმე ასეული შეკვრა. ამ შეკვრებიდან 8 საჩუქრად გადაეცა ბრუკლინის ხელოვნების მუზეუმს, პაპირუსზე შესრულებული ნაწერები შეიცავს ისტორიას ვინმე ანანის და მისი მეუღლის ტამუტის ცხოვრებაზე. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ანანიის შესახებ ინფორმაციას მოიცავდა ძველი წელთაღრიცხვის 449 წლის 9 აგვისტოს დათარიღებული ქორწინების აქტი. აღნიშნული კონტრაქტი შინაარსობრივად მოიცავს დღევანდელი საქორწინო კონტრაქტის მრავალ ელემენტს, იგი არეგულირებდა მხოლოდ იმ მდგომარეობას, რაც წარმოიშობოდა მათ ქონებრივ უფლებება-მოვალეობებთან დაკავშირებით განქორწინებისას. ამ ნაწერების გარდა, პაპირუსის შეკვრებში მრავლადაა ამა თუ იმ პირებს შორის დადებული საქორწინო კონტრაქტები. ყველა საქორწინო კონტრაქტი შესრულებულია არამეულ ენაზე, გამოკვეთილი და დახვეწილი იურიდიული ტერმინოლოგიით, არამეული ენის სწავლული პირების მიერ. ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ყველა კონტრაქტი ხელმოწერილია როგორც უშუალოდ მხარეების, ასევე მოწმეების მიერ.

მაშასადამე, როგორც ჩანს საქორწინო კონტრაქტის ჩამოყალიბება უკავშირდება არათუ ამერიკის შეერთებული შტატებს, არამედ მის წარმოშობას ბევრად უფრო ადრეულ ეპოქაში მივყავართ, კერძოდ კი ეგვიპტისაკენ.[45]

[45] თუმანიშვილი გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია 2010, გვ. 44-47

4.საქორწინო კონტრაქტი, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება

საქორწინო ხელშეკრულების ინსტიტუტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია ქართული კანონმდებლობისათვის, რომელმაც საქართველოს ნორმატიული აქტების სისტემაში თავის დამკვიდრება 1997 წელს მიღებული ახალი სამოქალაქო კოდექსით დაიწყო, ქართულ საოჯახო სამართალში. ქართველი ცივილისტების მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქორწინო ხელშეკრულების სამოქალაქო სამართლის კოდექსში განთავსების შესახებ თამამ გადაწყვეტილებად უნდა მივიჩნიოთ, რადგან საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთ-ერთი პირველი სახელმწიფოა, რომელმაც საკანონმდებლო დონეზე განამტკიცა საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტი.[46]
ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე საქორწინო და საოჯახო კოდექსები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობდა. სამოქალაქო სამართალი არეგულირებდა ქონებრივი და არაქონებრივ ურთიერთობებს, ხოლო - საოჯახო სამართალი საოჯახო-საქორწინო ურთიერთობებს. ამდენად, სამოქალაქო და საოჯახო სამართლის მოწესრიგების საგანი სხვადასხვა საზოგადოებრივი ურთიერთობა იყო და თითოეული მათგანი განეკუთვნებოდა სამართლის დამოუკიდებელ დარგს. დღეის მდგომარეობით იგი არის სამოქალაქო სამართლის რეგულირების საგანი და შესაბამისად წარმოადგენს მის ქვედარგს. საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტი განეკუთვნება საოჯახო სამართალს, რომელიც განთავსებულია სამოქალაქო კოდექსის მეხუთე წიგნში.[47]
კანონდებლობაში განმტკიცებულ მეუღლეთა კანონისმიერ ქონებრივ და სახელშეკრულებო ქონებრივ ურთიერთობათაგან, საქორწინო კონტრაქტის დადებით მეუღლეების ქონების კანონისმიერი რეჟიმი იცვლება მათივე შეთანხმების საფუძველზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მეუღლეთა სახელშეკრულებო ქონებრივი ურთიერთობების წარმოშობა სიახლეს წარმოადგენს და მასში გაზიარებულია დასავლეთი ქვეყნების გამოცდილება, სადაც საქორწინო ხელშეკრულება სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების ერთ-ერთი გავრცელებული სახეა.[48] დასავლეთის თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში ხორციელდება ქონებრივი უფლებების რეგულირება საქორწინო ხელშეკრულების გამოყენების გზით, რითაც მეუღლეებს აქვთ შესაძლებლობა საქორწინო ხელშეკრულებით განსაზღვრონ

---

[46] თუმანიშვილი გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია 2010, გვ. 12
[47] თუმანიშვილი გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია 2010, გვ.18
[48] ნაჭყებია ნ., მეუღლეთა სახელშეკრულებო ქონებრივი ურთიერთობა: უძრავ ქონებაზე უფლებათა რეგისტრაციის წესი და პირობები საქორწინო კონტრაქტის მიხედვით, ჟურნალი მართლმსაჯულება, 2008, გვ.75

თავიანთი უფლება-მოვალეობები და თავი აარიდონ მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების მოწესრიგების კანონით დადგენილ წესებს.[49] მაგალითისათვის, ინგლისის საოჯახო სამართალს საუკეთესოდ აქვს გაგებული საქორწინო კონტრაქტის მნიშვნელობა თავის კანონმდებლობაში, სადაც საოჯახო ურთიერთობები განიხილება საზოგადოების საკუთრებად, რომელსაც კანონი ანიჭებს განსაზღვრულ უფლება-მოვალეობებსა და შესაძლებლობებს, რის გამოც, თუ მხარეები გადაწყვეტენ ქორწინებას, ისინი უნდა დაექვემდებარონ სახელმწიფოში მოქმედ საქორწინო ურთიერთობათა მარეგულირებელ ნორმებს, მიუხედავად მხარეთა არჩევანისა. ალტერნატიული გამოსავალი სახელმწიფო ინტერესსა და მხარის ინტერესს შორის, კი მიიღწევა სწორედ საქორწინო ხელშეკრულებით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას, რა დროსაც მხარეები ხელშეკრულებით თანხმდებიან მათთვის ხელსაყრელ პირობებზე. საქორწინო ურთიერთობებიდან გამოდინარე კონკრეტული შედეგი ექცევა სახელმწიფო ინტერესის სფეროში, მას შეუძლია დაეხმაროს მხარეებს ქორწინების პროცესში, რადგან იგი სარგებლის მომტანი იქნება საზოგადოებისათვის, რის გამოც სახელმწიფომ კონკრეტული საკითხის გადაწყვეტის შესაძლებლობა არ უნდა მიანდოს მხოლოდ მხარეებს. საკითხის კომპრომისული გადაწყვეტა იქნება, თუ სახელმწიფო შესთავაზებს წყვილს ქორწინების რამდენიმე ფორმიდან ალტერნატიულის არჩევის შესაძლებლობას, მაგალითად, როგორც ეს არის აშშ-ს ზოგიერთ შტატში, სადაც გათვალისწინებულია ქორწინების ალტერნატიულ ფორმად ,,შეთანხმება“, რომელიც განქორწინების შესაძლებლობას იძლევა მხოლოდ განსაზღვრული, შეზღუდული გარემოებების არსებობის პირობებში.[50]

ქართული ტრადიციებიდან გამომდინარე, საქართველოს მოქალაქეებს შორის იშვიათად იდება საქორწინო ხელშეკრულება, უმთავრესად ინიციატორები არიან სხვა ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებზე ქორწინდებიან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში საქორწინო ხელშეკრულების დამკვიდრების ერთ-ერთ მიზეზად ეკონომიკურ ურთიერთობებათა განვითარება უნდა მივიჩნიოთ, რითაც ხორციელდება მეუღლეთა ქონებრივი უფლებების დაცვას.[51] თუმცა, ეკონომოკური ფაქტორი არ არის ერთადერთი არგუმენტი თუ რატომ შეიძლება გამხდარიყო საქორწინო ხელშეკრულება მიუღებელი საზოგადოებისათვის. ინგლისის სამართალი პრაქტიკულად ერთადერთია არა მარტო ევროპაში, არამედ

[49] კარტოზია მ., საქორწინო ხელშეკრულება, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგება, ჟურნალი სამართალი N6-7, თბილისი 2003, გვ.32

[50] Jonathan Herring, Family Law, Oxford University 2009, p. 43-44

[51] გადელია ნ., საქორწინო ხელშეკრულების აქტუალური საკითხები, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი N4(23), 2009, გვ. 37

საერთო სამართლის მქონე სხვა ქვეყნებშიც, რომლებიც არც თუ ისე დიდი ხნის წინ უარს ამბობდნენ საქორწინო ხელშეკრულების აღიარების აუცილებლობაზე. ინგლისისა და უელსის სასამართლოები ტრადიციულად საქორწინო ხელშეკრულებებს ანიჭებდნენ მცირე მნიშვნელობას და განიხილავდნენ მათ როგორც სახელმწიფო პოლიტიკის საწინააღმდეგოს. ითვლებოდა, რომ მას შეეძლოთ დაენგრია ქორწინების ინსტიტუტი და შეეზღუდათ სასამართლოების თავისუფლება ქორწინების ან სამოქალაქო პარტნიორობის შეწყვეტის დროს ქონების განაწილებისას. თუმცა, დროთა განმავლობაში საქორწინო ხელშეკრულებები სასამართლოს მიერ განიხილებოდა ერთ-ერთ იმ გარემოებათაგან, რომელიც უნდა იქნას გათვალისწინებული მათ მიერ თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებისას. პირველი საქორწინო ხელშეკრულენა, რომელიც გათვალისწინებული იქნა ბრიტანეთის სასამართლოების მიერ, დადებული იყო 1970 წელს ,,Wright v Wright. აგრეთვე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო 1995 წლის საქმე FvF, სადაც ფიგურირებდა ქორწინებამდელი და არა ქორწინების შემდგომი ხელშეკრულება. მოსამართლე ჯ.სორპიმ განმარტა, რომ იმ პირთა უფლება-მოვალეობები, რომელთა ფინანსური საკითხები რეგულირდება კანონით, არ შეიძლება ხელშეკრულების მხრიდან განიცდიდნენ დიდ გავლენას, რათა იგი მისაღები გახდეს მთელი საზოგადოებისათვის. 2002 წლის X v X საქმეში, სასამართლომ იხელმძღვანელა საქორწინო კონტრაქტით, რამაც მიიყვანა იგი ობიექტურ და სამართლიან შედეგამდე. სასამართლომ განმარტა, რომ არ უნდა მიეცეს მხარეებს იმის შესაძლებლობა, რომ მარტივად გადაუხვიონ ხელშეკრულების პირობებს , თავის მხრივ, სასამართლო არ უნდა შეიჭრას ,,ხელშეკრულების ტერიტორიაზე", რამდენადაც მხარეებს შეუძლიათ დამოუკიდებელი მოლაპარაკება და საერთო პრინციპების შესაბამისად გადაწყვეტილების მიღება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ წესრიგს. საქორწინო ხელშეკრულების აღიარების სფეროში მნიშვნელოვაინ გახდა 2013 წლის დავა Radmacher v Granation. საქმის მასალების თანახმად ცოლი იყო შეძლებული გერმანული ოჯახიდან, ხოლო ქმარი იყო ფრანგი, ყოფილი საინვესტიციო ბანკირი, რომელმაც ქორწინების განმავლობაში დაიწყო სამეცნიერო მოღვაწეობა ოქსფორდში. საქორწინო ხელშეკრულების თანახმად, მხარეებს ევალებოდათ, რომ არ ჰქონოდათ პრეტენზია ერთმანეთის საკუთრებაზე. მაგრამ, ქმარმა 2006 წელს წამოაყენა მოთხოვნა ფინანსურ უზრუნველყოფაზე, რომელიც დაკმაყოფილდა უზენაესი სასამართლოს მიერ. თუმცა არსებობს სასამართლო გადაწყვეტილებები, სადაც საქორწინო ხელშეკრულებები არ იქნა მხედველობაში მიღებული და შესაბამისად გამოყენებული, ხოლო არგუმენტად მითითებული იქნა სასამართლოს უარყოფითი პოზიცია,

კონტრაქტის დადების დროს მხარეთა იურიდიული კონსულტაციის გარეშე გადაწყვეტილებს მიღების და გარკვეული პირობების გათვალისწინების დაუშვებლობასთან დაკავშირებით.[52] ამასთან, არსებობს აზრთა სხვადასხვაობა საქორწინო კონტრაქტის მიუღებლობასთან კავშირში. საქორწინო ხელშეკრულების ოპონენტები ამტკიცებენ, რომ საქორწინო ურთიერთობის არსებობა არ არის გარანტირებული სიცოცხლის ბოლომდე. საქორწინო ხელშეკრულება სამართლიანი იქნება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მხარეებმა კარგად იციან ერთმანეთის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, არიან გათვითცნობიერებულები არჩევანში და საქორწინო ხელშეკრულებით იმყოფებიან თანასწორ პირობებში. მაგრამ, ამ შეთხვევაშიც კი, მხარეებს წინასწარ არ შეუძლიათ გაითვალისწინონ მომავლისათვის, რაიმე კონკრეტული შედეგი, რის გამოც საქორწინო კონტრაქტი შეიძლება მოძველდეს სწრაფად და საჭიროებდეს მუდმივ განახლებას დროის მოკლე მონაკვეთებში,[53] რის გამოც იგი ვერ გახდება ქონებრივი უფლებების დაცვის გარანტი.

მეუღლეთა სახელშეკრულებო ურთიერთობებზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებები. აღსანიშნავია ისიც, რომ თავად საქორწინო ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ურთიერთობები ვერ ექცევა საოჯახო სამართლის რეგულირების სფეროში, ამის ნათელი მაგალითია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1176-ე მუხლი, რომელიც მეუღლეებს აძლევს შესაძლებლობას საქორწინო კონტრაქტით განსაზღვრონ თითოეული მათგანის წილობრივი საკუთრება ქონებაზე. მეუღლეთა საერთო წილობრივ საკუთრებაზე მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა კი ხდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლით, რომელიც სანივთო სამართალს განეკუთვენება. ეს კი ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ ხდება სანივთო სამართლებრივი ნორმების გამოყენება საქორწინო ხელშეკრულების ინსტიტუტში.[54] მეცნიერი ი.ფუნკიც თავის ნაშრომში მსჯელობს საქორწინო კონტრაქტის, როგორც არაერთგვაროვანი იურიდიული ბუნების მქონე ინსტიტუტზე, რომელიც რთული სამართლებრივი შემადგენლობისაა და მოიცავს სხვადასხვა სამართლებრივი ინსტიტუტის ნიშნებს, მაგალითად, პირობებს ჩუქების, გაცვლის და სხვა ხელშეკრულებებიდან.[55] აქვე საინტერესოა თავად საქორწინო კონტრაქტის სამართლებრივი ბუნება. მაგალითისათვის, რუსეთში საოჯახო სამართალი

[52] Казарян К.А, Правове Регулирование Брачного Договора В Великобритании, 2015, ст. 1-2

[53] Jonathan Herring, Family Law, Oxford University 2009, p.44

[54] თუმანიშვილი გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია 2010, გვ.19-20

[55] Функ Я.И., брачный Договор. Имущественные отношения супругов,их участвие в хозяйственных обществах и товариществах по законодательству Российской Федерации и Республики Беларусь, 2003, ст.35

სამოქალაქო სამართლის სისტემისაგან დამოუკიდებლად არსებობს. დსთ-ს ბევრ ქვეყანაში არსებობს საოჯახო კოდექსი, რომელშიც გათვალისწინებულია საქორწინო კონტრაქტიც. პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ამ სახელმწიფოების საოჯახო სამართლის კოდექსები ხშირ შემთხვევაში პირდაპირ უთითებენ სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტებზე, რითაც ვიღებთ საქორწინო ხელშეკრულების ორმაგ ბუნებას: ერთის მხრივ, სამოქალაქო-სამართლებრივი, ხოლო მეორეს მხრივ - საოჯახო-სამართლებრივი. კონტინენტური სამართლის ქვეყნებში , საქართველოს მსგავსად, საოჯახო სამართალი სამოქალაქო კოდექსის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და აღნიშნული საკითხიც სხვაგვარად არის მოწესრიგებული. სადავო არ არის, რომ საქორწინო ხელშეკრულება სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებაა. საკითხავია ვალდებულებით-სამართლებრივ თუ საოჯახო-სამართლებრივ გარიგებას განეკუთვნება იგი. ეს პრობლემა უნდა გადაწყდეს ზემოაღნიშნული გარიგების მონაწილე სუბიექტთა განსაზღვრით[56] .

მსოფლიოს არაერთი სამართლის ოჯახი მოიცავს საქორწინო ხელშეკრულების ინსტიტუტს. საერთო სამართლის ქვეყნებში იგი სამართლებრივი ინსტიტუტის სახით მოცემული არ არის, მაგრამ მასზე, როგორც გარიგების ერთერთ სახეზე, ვრცელდება ,,Contract Law" da ,,Family Law" საკონტრაქტო და საოჯახო სამართლის დებულებები. მიუხედავად განსხვავებულობისა, კონტინენტური სამართლისა და საერთო სამართლის ქვეყნებისათვის ერთნაირია საქორწინო ხელშეკრულების სუბიექტთა წრე, დასაქორწინებელი და ქორწინებაში მყოფი პირები. ამ პირთა პირადი და ქონებრივი ურთიერთობები წესრიგდება საოჯახო სამართლის ნორმებით. საქორწინო კონტრაქტი კი თავისი ბუნებით, საქორწინო ხელშეკრულების სუბიექტების განსაზღვრის პრინციპზე დაყრდნობით წარმოადგენს სამოქალაქო გარიგების საოჯახო სამართლებრივი ხელშეკრულების სახეს[57]. ამდენად, საქორწინო კონტრაქტი სამოქალაქო-სამართლებრივ გარიგებათა რიცხვს მიეკუთვნება, ამიტომ მთლიანად უნდა პასუხობდეს იმ მოთხოვნებს, რასაც სამოქალაქო კოდექსი ზოგადად გარიგებებს უყენებს, თუმცა, როგორც მთელი რიგი სპეციფიურობებით დამახასიათებელი ინსტიტუტი, სხვა ხელშეკრულებებისგან განსხვავებულია. საქორწინო კონტრაქტი ორმხრივ, კონსესუალურ გარიგებათა რიცხვს განეკუთვნება, წარმოშობისათვის

[56] თუმანიშვილი გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია 2010, გვ.20-21
[57] თუმანიშვილი გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია 2010, გვ.21

საკმარისია მხარეთა შეთანხმება, იგი კაუზალური ბუნებისაა და მისი ნამდვილობა საფუძვლის არსებობაზეა დამოკიდებული.[58]

4.1. ინკვიზიციურობის პრინციპის შეზღუდვა საქორწინო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილ დავებზე

როგორც უკვე ავღნიშნეთ საქორწინო კონტრაქტი წარმოადგენს საოჯახო-სამართლებრივ გარიგებას. ამ მხრივ საინტერესოა სამოქალაქო საპროცესო ნორმების გავრცელება საქორწინო ხელშეკრულების ინსტიტუტზე. როგორც ვიცით სსსკ-ის XLIII თავი შეეხება საოჯახო-სამართლებრივ დავებს. მისი ცალკე გამოყოფა განპირობებულია საოჯახო ურთიერთობათა თავისებურებებით, ამდენად, მისი საპროცესო სამართლებრივი მოწესრიგებაც ხასიათდება მთელი რიგი სპეციფიურობით. მტკიცების ტვირთის ნაწილში შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპებთან ერთად კანონმდებელს შემოაქვს ინკვიზიციურობის პრინციპის ელემენტებიც, რადგან ინკვიზიციურობის პრინციპის არსი არის სასამართლოს მიერ ისეთ გარემოებათა დადგენა, რომელმაც შემდგომ შესაძლოა მოიტანოს საზიანო და შეუქცევადი შედეგები. სწორედ ამიტომ განამტკიცებს სსსკ-ის მე-2 მუხლის მეორე ნაწილი და 354-ე მუხლები მოსამართლის შესაძლებლობას არ დასჯერდეს მხარეთა წარმოდგენილ მტკიცებულებებს და თავად განსაზღვორს დასადგენ გარემოებათა წრე. თუმცა შეჯიბრებითობისა და ინკვიზიციურობის პრინციპებს შორის უნდა იქნეს დაცული ბალანსი და ეს უკანასკნელი არ უნდა გავრცელდეს მთელს საოჯახო სამართლებრივ დავებზე. მართალია მოსამართლეს აქვს შესაძლებლობა შესთავაზოს მხარეს მტკიცებულებათა წარდგენა[59], მაგრამ თუ არსებობს მეუღლეებს შორის საქორწინო კონტრაქტი, თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფის საკითხი უნდა გადაწყდეს ამ ხელშეკრულების შესაბამისად.[60]

4.2.საქორწინო ხელშეკრულების ცნება

დღევანდელი მოქმედი კანონმდებლობით ნორმატიული აქტები არ განსაზღვრავენ საქორწინო კონტრაქტის დეფინიციას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1172-ე მუხლი, როგორც ინსტიტუტში შემავალი პირველი ნორმა, საერთო წესის თანახმად, უნდა განმარტავდეს საქორწინო ხელშეკრულების ცნებას, ის კი საუბრობს მხოლოდ მეუღლეთა უფლებაზე

---

[58] ნაჭყებია ნ., მეუღლეთა სახელშეკრულებო ქონებრივი ურთიერთობა: უძრავ ქონებაზე უფლებათა რეგისტრაციის წესი და პირობები საქორწინო კონტრაქტის მიხედვით, ჟურნალი მართლმსაჯულება, N3, 2008, გვ.76-77

[59] გაგულა ი., სადისერტაციო ნაშრომი, მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თბილისი 2012, გვ. 97-98

[60] Kaye P,Civil Jurisdiction and Inforcment of Foreign Judjment, Oxford 1987, p.613

დადონ საქორწინო კონტრაქტი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1173-ე მუხლის შესაბამისად, ,,საქორწინო კონტრაქტი შეიძლება დაიდოს როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე, ისე რეგისტრაციის შემდეგ ნებისმიერ დროს". აღნიშნული ნორმები ერთგვარ წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან, ეს კი შეიძლება მივიჩნიოთ საქორწინო კონტრაქტის დეფინიციის მცირე ხარვეზად. სასურველია წინამდებარე ნორმაში დაემატოს ,,დასაქორწინებელ პირებს ან...", რითაც აღნიშნული სამართლის ნორმა გახდება სამართლებრივად სრულყოფილი.[61]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1172-ე მუხლის მიხედვით, ,,მეუღლეებს შეუძლიათ დადონ საქორწინო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მათი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორიწინებისას".

სამართლის დოქტორი გ.თუმანიშვილი საქორწინო კონტრაქტის ცნების განსაზღვრისათვის გვთავაზობს მისი შემადგენელი ელემენტების გამოყოფას, ესენია:

- საქორწინო კონტრაქტის სუბიექტები, რომელთაც განეკუთვნება მეუღლეები ან დასაქორწინებელი პირები.
- საქორწინო კონტრაქტის ობიექტი, რომელსაც განეკუთვნება ქონებრივი უფლებები და მოვალეობები.
- საქორწინო კონტრაქტის მოქმედება დროში, როდესაც კანონმდებელი ითვალისწინებს საქორწინო კონტრაქტის დადებას გარკვეული ვადით ან უვადოდ, როგორც ქორწინების რეგისტრაციის დრო, ისე ქორწინების რეგისტრაციამდე.
- საქორწინო კონტრაქტის ფორმა, როდესაც იგი იდება წერილობითი ფორმით და მოწმდება სანოტარო წესით.[62]

ამ ელემენტების შეჯერებით შეიძლება მივიღოთ საქორწინო ხელშეკრულების ერთიანი ცნება. კერძოდ, საქორწინო კონტრაქტი არის დასაქორწინებელ პირთა ან მეუღლეთა შორის გარკვეული ვადით ან უვადოდ დადებული გარიგება, რომელიც იდება წერილობითი ფორმით და მოწმდება სანოტარო წესით, როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე, ისე ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ, რომელიც ძალაში შევა ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან და განსაზღვრავს მხარეთა ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს. [63]

---

[61] თუმანიშვილი გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია 2010, გვ.13
[62] თუმანიშვილი გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია 2010, გვ.22-23
[63] თუმანიშვილი გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია 2010, გვ.24

4.3. პირადი არაქონებრივი უფლებები, როგორც საქორწინო ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი

გ. თუმანიშვილის მოსაზრებით საქორწინო ხელშეკრულებაში მხარეებმა შეიძლება გაითვალისწინონ პირადი არაქონებრივი უფლება-მოვალეობებიც. აღნიშნულს ვერ დავეთანხმები. მისი არგუმენტი ეფუძნება კერძო სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს, ,,რაც კანონით პირდაპირ აკრძალული არ არის - ნებადართულია". მისი შეხედულებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1172-ე მუხლი სავალდებულო ძალის მიხედვით არის დისპოზიციური, ხოლო მისი დისპოზიციურობა - აღმჭურველი, ხოლო სსკ-ს 1179-ე მუხლის დისპოზიცია, რომლის მიხედვითაც ,,საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიძლება შეიცვალოს მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა, მშობლების უფლება მოვალეობანი შვილების მიმართ,საალიმენტო მოვალეობანი და დავის შემთხვევაში სასამართლოში მიმართვის უფლება", მასში გამოხატული ქცესის წესის მიხედვით არის ამკრძალავი.[64]

ზოგჯერ დასაქორწინებელი პირები ცდილობენ შეთანხმებები გაარცელონ პირადი ურთიერთობების სფეროებზეც. ,,საქორწინო კონტრაქტი წარმოადგენს ქონებრივ საკითხებზე მეუღლეთა ნების თავისუფალ გამოვლენის შესაძლებლობას."[65] კანონმდებლები ამ პრინციპის შემუშავებისას ხელმძღვანელობდნენ დებულებით, რომ კონტრაქტი შესაძლოა შეიცავდეს მხოლოდ იმ სამართალმდგომარეობებს, რომლებიც უზრუნველყოფილია სასარჩელო დაცვით[66], ხოლო სსკ-ს 1179-ე მუხლის დანაწესი განპირობებულია იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომ არ მოხდეს რომელიმე მეუღლის საქართველოს კონსტიტუციითა და ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევა.[67] პირად ურთიერთობათა სფეროში არსებულ საკითხთა წრე იმდენად ფართოა, რომ მხარეებს აქვთ საშუალება თავიანთი შეხედულებისამებრ განსაზღვრონ ისინი, თუმცა ეს იმ საკითხთა წრეს განეკუთვნება, რომლებიც სამართლებრივი თვალსაზრისით მოკლებულია სასარჩელო დაცვას, რადგან სასამართლო არ შეუძლია ჩაერიოს ადამიანის პირად, ინტიმურ სფეროში. ამდენად დაუშვებელია მეუღლეთა მიერ პირადი არაქონებრივი ხასიათის ურთიერთობათა მოწესრიგება საქორწინო ხელშეკრულებით.[68] საქორწინო ხელშეკრულებაში არაქონებრივი

---

[64] თუმანიშვილი გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია 2010, გვ.13-14

[65] ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე ნ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბილისი 2000, გვ.129

[66] თუმანიშვილი გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია 2010, გვ.14

[67] გადელია ნ., საქორწინო ხელშეკრულების აქტუალური საკითხები, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი N4(23), 2009, გვ. 38

[68] ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი 2004, გვ.198

უფლება-მოვალეობების გათვალისწინება, ეწინააღმდეგება საქორწინო კონტრაქტის ერთ-ერთი ფუძემდებლურ პრინციპს, მეუღლეთა შესაძლებლობას განსაზღვრონ და დაარეგულირონ ქონებრივი ხასიათის ურთიერთობები. თუმცა არსებობს გამონაკლისებიც, მაგალითად, ინგლისი, სადაც მოქმედებს ქონებრივი ურთიერთობის რეგულირების წესი, მინდობილობითი საკუთრების ხელშეკრულების, ე.წ Trust-ის საფუძველზე, რომლითაც ხორციელდება პირადი არაქონებრივი უფლებების გარდაქმნა ქონებრივი ურთიერთობების ობიექტად, რაც იძლევა შესაძლებლობას გასხვისებული იქნას პირადი არაქონებრივი უფლებები.[69]

4.4. საქორწინო ხელშეკრულების მიზანი

რაც შეეხება საქორწინო კონტრაქტის მიზანს, იგი გულისხმობს მხარეთა მიერ ერთმანეთის უფლებების მიმართ პატივისცემას, აღნიშნულის უგულებელყოფა კი ეწინააღმდეგება საქორწინო ხელშეკრულების მიზანს გახდეს ქონებრივი ურთიერთობების ცივილიზებული რეგულირების საშუალება, როგორც ქორწინების განმავლობაში, ისევე განქორწინებისას. აქვე, მნიშვნელოვანია შევეხოთ ინგლისის 1996 წლის საოჯახო სამართლის აქტს, რომელმაც არა მხოლოდ არსებითად შეცვალა ინგლისის კანონმდებლობა და შემოიღო ინოვაციური, პროცედურული წესები, არამედ პირველად განქორწინებათა ისტორიაში, დაუშვა მედიატორთა ინტენსიური ჩარევა განქორწინების პროცესში და გააუმჯობესა მათი მონაწილეობის როლი.[70] აღნიშნული საკანონმდებლო აქტით კეთდება მზარდი აქცენტები მხარეთა წახალისების მიზნით დადონ საქორწინო კონტრაქტი, რათა მოხდეს დავების განხილვა და ურთიერთობათა დასრულება სასამართლოს ჩარევის გარეშე, კანონმდებლობა მოითხოვს მხარეებმა თავად გადაწყვიტონ ქორწინების განმავლობაში წარმოშობილი სამართლებრივი შედეგი საქორწინო ხელშეკრულების დადების გზით. საჭიროების შემთხვევაში კანონმა შეიძლება შესთავაზოს მხარეს კონტრაქტის გარკვეული ნიმუში, რომელიც მათ უნდა აირჩიონ გამოსაყენებლად, რასაც მხარს უჭერს საზოგადოების დიდი ნაწილი, მაგალითისათვის , ფემინისტების ნაწილი მიიჩნევს, რომ საქორწინო კონტრაქტი მისცემს საშუალებას ქალს თავიდან აიცილოს ტრადიციული ოჯახური როლი, რომელიც საზიანოა მათთვის, ნაწილი კი თვლის, რომ კანონმა არ უნდა დაარეგულიროს მათი ინტიმური ცხოვრება. საქორწინო ურთიერთობის რეგულირების ფორმა უნდა აირჩიოს მხარემ თავად და არ უნდა იყოს იგი სახელმწიფოს მიერ ერთპიროვნულად

---

[69] თუმანიშვილი გ., საქორწინო კონტრაქტის ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით, ჟურნალი სამართალი N8, თბილისი 2003, გვ.38

[70] Frances Burton, Guide to the Family Law Act 1996, London 1996, p.1

სანქცირებული.[71] ამასთან, სახელმწიფომ შეიძლება მხოლოდ შესთავაზოს მხარეებს ალტერნატიული შესაძლებლობები საქორწინო კონტრაქტის დადებასთან კავშირში. მაგალითისათვის, საქორწინო ხელშეკრულების მნიშვნელობის სიცხადესთან და მისი გამოყენების ზრდასთან დაკავშირებით ინგლისის სამართლის საკითხების კომისიამ 2009 წლიდან დაიწყო მუშაობა საქორწინო ხელშეკრულების სტატუსის შესწავლისა და მისი აღსრულებაში მოყვანის თაობაზე. 2014 წლის თებერვალში კომისიამ გამოაქვეყნა სარეკომენდაციო აქტი მეუღლეთა საკუთრება, მოთხოვნილება და შეთანხმება. კომისიამ გასცა კვალიფიციური საქორწინო ხელშეკრულების შემოტანის რეკომენდაცია ნორმატიული შეთანხმების სახით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს წყვილებს შექმნან სავალდებულო მექანიზმები ფინანსურ სფეროში საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში. ეს ხელშეკრულება არ იქნება დამოკიდებული სასამართლოს შეხედულებაზე სამართლიანობასთან დაკავშირებით. ამასთან, უნდა შესრულდეს ზოგიერთი მოთხოვნა, რათა ხელშეკრულება აღიარებულ იქნას კვალიფიციურ საქორწინო ხელშეკრულებად: საქორწინო ხელშეკრულება უნდა შეესაბამებოდეს აუცილებელ მოთხოვნებს, რომელიც წარმოიშვება ნებისმიერი ხელშეკრულების დადებისას; ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს განცხადებას, რომელსაც ორივე მხარე აწერს ხელს იმასთან დაკავშირებით, რომ მათ ესმით იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულება წარმოადგენს კვალიფიციურ საქორწინო ხელშეკრულებას, რაც ნაწილობრივ ზღუდავს სასამართლოს თავისუფლებას მეუღლეთა ფინანსური საკითხების გადაწყვეტის თაობაზე; ხელშეკრულება აუცილებელია დაიდოს 28 დღის განმავლობაში ქორწინების რეგისტრაციამდე; ხელშეკრულების თითოეული მხარე უნდა იყოს ინფორმირებული ხელშეკრულების დადების მომენტში მეორე მხარის ფინანსური მდგომარეობის თაობაზე; თითოეულმა მხარემ უნდა გაიაროს იურიდიული კონსულტაცია ხელშეკრულების პირობების ფორმირებისას. კომისიამ ასევე მიუთითა, რომ ერთმანეთის ფინანსური მდგომარეობისა და იურიდიული კონსულტაციის შესახებ მხარეთა უარი დაუშვებელია.[72]

ყოველივე ზემომსჯელობიდან გამომდინარე, გ.თუმანიშვილის მოსაზრების ნაწილობრივი გაზიარებით, ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული საქორწინო კონტრაქტის ცნება სასურველია გათვალისწინებულ იქნას კანონმდებლის მიერ, რათა უკეთ მოხდეს საქორწინო ხელშეკრულების სამართლებრივად სრულყოფილი და გამართული დეფინიციის ჩამოყალიბება. ამასთან მნიშვნელოვანია მხედველობაში იქნას მიღებული სხვა ქვეყნების

[71] Jonathan Herring, Family Law, Oxford University 2009, p.44

[72] Казарян К.А, Правове Регулирование Брачного Договора В Великобритании, 2015, ст. 3-4

გამოცდილება, მათ მიერ გატარებულ რეფორმებთან დაკავშირებით, საქორწინო კონტრაქტის გამოყენების ზრდისათვის და გატარებული იქნას მთელი რიგი ღონისძიებები.

5.საქორწინო ხელშეკრულების დადება, ფორმა და შინაარსი

5.1.საქორწინო ხელშეკრულების დადება

საქორწინო კონტრაქტის დადებას ეხება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1173-ე მუხლი და იგი იძლევა მხარეების შეთანხმების შესაძლებლობას საქორწინო ხელშეკრულების დადების თაობაზე, როგორც ქორწინების რეგისტრაციისას, ასევე ქორწინების შემდეგ ნებისმიერ დროს. კანონმდებელი არ განსაზღვრავს დროის სივრცეში არავითარ ვადებს საქორწინო კონტრაქტის დადებასთან და რეგისტრაციის ფაქტთან დაკავშირებით.[73] მხარეთა შორის დადებული საქორწინო ხელშეკრულება მოქმედებს ქორწინების მთელი პერიოდის განმავლობაში, თუ მასში სხვა ვადა არ არის მითითებული.[74] ზოგადად იგი იდება უვადოდ, მაგრა, მხარეები შესაძლოა კონკრეტულ ვადაზე შეთანხმდნენ, რითაც ხორციელდება მისი მოქმედების შემოფარგვლა.[75]

ამასთან, ძველი სამოქალაქო კოდექსის მომწესრიგებელი ნორმები, მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობების შესახებ იყო იმპერატიული, რასაც საქორწინო ხელშეკრულებით გათვალისწინებულმა ახალმა ნორმებმა მიანიჭა დისპოზიციური ხასიათი. აღნიშნულს არ ეთანხმება ზოგიერთი იურისტი და თვლის, რომ მისი დადება საავალდებულო უნდა იყოს, თუმცა აღნიშნული დაუშვებელია, რადგან იგი ეწინააღმდეგება თავად ხელშეკრულების არსს და ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმებს, რომლებიც არეგულირებს მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობებს თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე.[76]
ვინაიდან საქორწინო კონტრაქტის დადება შესაძლებელია ქორწინების რეგისტრაციამდეც, მხარეებს შეუძლიათ შეადგინონ და დადონ ხელშეკრულება რამოდენიმეჯერ. ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან ძალაში შესულად ჩაითვლება ის კონტრაქტი, რომელიც მხარეებმა დადეს

[73] თუმანიშვილი გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია 2010, გვ.81
[74] ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე ნ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბილისი 2000, გვ.132
[75] ნაჭყებია ნ., მეუღლეთა სახელშეკრულებო ქონებრივი ურთიერთობა: უძრავ ქონებაზე უფლებათა რეგისტრაციის წესი და პირობები საქორწინო კონტრაქტის მიხედვით, ჟურნალი მართლმსაჯულება, N3, 2008, გვ.78
[76] ჩიკვაშვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 1999, გვ.107-108

ყველაზე გვიან. ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ დადებული ხელშეკრულება კი ძალაში შევა ავტომატურად ხელმოწერისთანავე.[77] ინგლისისა და უელსის კანონმდებლობის მიდგომა საქორწინო კონტრაქტი მიმართ განსხვავებულია, მიუხედავად იმისა იგი ქორწინების რეგისტრაციამდე არის დადებული თუ მის შემდგომ, მას სასამართლო პროცესის მსვლელობისას ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება. კონტრაქტი გამოიყენება სასამართლოში საქმისწარმოებისას, თუმცა მისი ღირებულება განისაზღვრება სხვადასხვა დავის წარმოებისას განსხვავებულად.[78] რაც შეეხება ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფ პირებს, ზოგიერთი იურისტის მოსაზრებით, რადგან სამოქალაქო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს ხელშეკრულების ამომწურავ ჩამონათვალს, ფაქტობრვი მეუღლეებსაც უნდა შეეძლოთ ხელშეკრულების გაფორმება. ერთობლივი საკუთრება წარმოიშობა კანონის ძალით და იგი არ შეიძლება აღმოცენდეს ხელშეკრულების საფუძველზე, ამდენად, ფაქტობრივ მეუღლეებს არ შეუძლიათ დაადგინონ საერთო თანასაკუთრება ქონებაზე შეთანხმებით, რომელიც შეიძინეს ფაქტობრივი ცხოვრების განმავლობაში.[79] რადგან კანონმდებლობა არ ცნობს ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობებს, მათ მიერ დადებულ ხელშეკრულებაზე გავრცელდება საერთო წესი და ძალას შეიძენს მხოლოდ ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ. ამდენად, თუ ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობაში მყოფი პირები თავიდანვე არ აპირებენ ურთიერთობის ოფიციალურ გაფორმებას, აზრს მოკლებულია მათ მიერ მსგავსი ხელშეკრულების დადება, რადგან იგი არასოდეს შევა ძალაში[80].

საქორწინო ხელშეკრულება არის დაკავშირებული ქორწინებასთან და შესაბამისად, იგი მხოლოდ მეუღლეთა შორის არსებულ ქონებრივ ურთიერთობებს არეგულირებს. ამდენად, თუ ხელშეკრულება დაიდება მომავალ მეუღლეებს შორის, ძალაში შევა მხოლოდ ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ, რის გამოც, საქორწინო ხელშეკრულება ქორწინების რეგისტრაციის გარეშე არავითარ უფლება-მოვალეობებს არ წარმოშობს,[81] რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1173-ე მუხლს აქცევს ნაკლებად რეალიზებად ნორმად. ქორწინების რეგისტრაციამდე დადებული ხელშეკრულებით, მხარეებს შორის უნდა განაწილდეს ქონებრივი უფლება-მოვალეობები ერთად ცხოვრების პერიოდისთვის და განქორწინებისას, ხოლო თუ ხელშეკრულება დაიდება ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ,

[77] თუმანიშვილი გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია 2010, გვ.81

[78] Jonathan Herring, Family Law, Oxford University 2009, p.255

[79] Ворожейкинб, Правовые основы брака и семьиб, М. 1969. ст.18

[80] ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი 2004, გვ.194

[81] ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე ნ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბილისი 2000, გვ.130

მეუღლეებს შეუძლიათ განსაზღვრონ აღნიშნული უფლება-მოვალეობები ქორწინების პერიოდში, შეცვალონ ხელშეკრულების დადებამდე შეძენილი ქონების სამართლებრივი რეჟიმი და მომავლისთვის გაანაწილონ ქონებრივი უფლება-მოვალეობები თავიანთი ინტერესების შესაბამისად. რადგან საქორწინო ხელშეკრულება ქონებრივ საკითხებზე მეუღლეთა თავისუფალი ნების გამოვლენის საშუალებაა, კანონი ზუსტად არ განსაზღვრავს დროს, თუ როდის შეუძლიათ მეუღლეებს ხელშეკრულების დადება და იგი არ არის დაკავშირებული რაიმე პირობასთანაც.[82]

საქორწინო ხელშეკრულება არის კონსესუალური და ორმხრივი ხასიათის. კონსესუალურობაა განაპირობებს მისი ძალაში შესვლის მომენტი, იგი ძალას იძენს შეთანხმების მიღწევის მომენტიდან. საქორწინო კონტრაქტის ორმხრივობას კი - მეუღლეთა შორის თანხვედრ უფლება-მოვალეობათა არსებობა, რადგან დაუშვებელია ერთ მხარეს გააჩნდეს მხოლოდ უფლებები და მეორე მხარეს - მხოლოდ მოვალეობები, ეს იქნებოდა თანაბარუფლებიანობის პრინციპის დარღვევა.[83]

მხარეების მიერ საქორწინო კონტრაქტის დადების შემდეგ სავალდებულოა მისი სანოტარო წესით დამოწმება, რომელიც ძალაში შევა ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ. ამავე პირობით ხდება საქორწინო ხელშეკრულების დადება გერმანული სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, რომელიც შეიცავს საქორწინო კონტრაქტის მომწესრიგებელ ნორმებს მეოთხე წიგნის 1408-1414 მუხლების მიხედვით. 1408-ე მუხლი კი უშუალოდ ეხება საქორწინო კონტრაქტის დადებას და ამბობს, რომ მეუღლეებს შეუძლიათ თავიანთი ქონებრივი ურთიერთობა მოაწესრიგონ ხელშეკრულებით, რაც აძლევთ მათ შესაძლებლობას გააუქმონ ან შეცვალონ ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმი ქორწინების გაფორმების შემდეგაც კი. კონტრაქტი უნდა დაიდოს სანოტარო წესით ორივე მხარის ერთდროული თანდასწრებით.[84] იგი არ მოითხოვს ხელშეკრულების დადებას ნოტარიუსის თანდასწრებით, ხელშეკრულება საჭიროებს მხოლოდ ხელმოწერის ნამდვილობის დადასტურებას, განსხვავებით საფრანგეთის კანონმდებლობისგან, რომლის სამოქალაქო კოდექსის 1394-ე მუხლის მიხედვით საქორწინო კონტრაქტი დადებული და ხელმოწერილი უნდა იყოს ნოტარიუსის თანდასწრებით, რომელიც შემდგომ ამოწმებს მას ნოტარიულად.[85] ამასთან, იურისტ მეცნიერებს შორის არსებობს არაერთგვაროვანი მოსაზრება, საქორწინო ხელშეკრულების გაფორმების

[82] შენგელია რ., შენგელია ე. საოჯახო სამართალი, თბილისი 2013, გვ. 175-176

[83] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი, თბილისი 2013, გვ. 178-179

[85] თუმანიშვილი გ., საქორწინო კონტრაქტის ზოგიერთ თავისებურებასთან დაკავშირებით, ჟურნალი სამართალი N8, თბილისი 2003, გვ.39

შესახებ წარმომადგენლობის მეშვეობით. ნაწილი მიიჩნევს, რომ აღნიშნული დასაშვებია, იმ შემთხვევაში თუ მინდობილობა სათანადო წესით იქნება შედგენილი და ხელშეკრულებით შეთანხმება იქნება მიღწეული ყველა ძირითადი პირობაზე, რადგან იგი შესაძლებლობა გამომდინარეობს გარიგების ქონებრივი ხასიათიდან.[86] მაგალითისათვის, საფრანგეთის კანონმდებლობით ხელშეკრულების დადებისას სავალდებულოა ორივე მხარის დასწრება და ხელმოწერა, თუმცა აქვე იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ კონტრაქტი დაიდოს წარმომადგენლების მეშვეობით. მაგრამ, საქორწინო კონტრაქტის დადება წარმომადგენლობის მეშვეობით არ შეიძლება თავად ხელშეკრულების პირადი ხასიათიდან გამომდინარე, რა დროსაც საოჯახო უფლება-მოვალეობების გადაცემა დაუშვებელია,[87] რასაც იზიარებს გერმანიის კანონმდებლობაც.

5.1.1. საქორწინო ხელშეკრულება პირობით გარიგებასთან კავშირში

როგორც უკვე ავღნიშნეთ, საქორწინო ხელშეკრულება არის ქონებრივ საკითხებზე მეუღლეთა თავისუფალი ნების გამოვლენა, რომელიც არ არის დაკავშირებული რაიმე პირობასთან. თუმცა, განსხვავებულად შეიძლება მოვაწესრიგოთ ქორწინების რეგისტრაციამდე დადებული ხელშეკრულების საკითხი. იურიდიულ მეცნიერებაში გავრცელებული მოსაზრებით, ქორწინების რეგისტრაციამდე დადებული ხელშეკრულება განეკუთვნება პირობით გარიგებას.[88] პირობითი არის გარიგება, რომლითაც მხარეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობა დამოკიდებულია გარემოებაზე, რომლის შესახებაც უცნობია დადგება თუ არა იგი. მიუხედავად იმისა, რომ ქორწინებამდე დადებული ხელშეკრულება ძალაში შედის ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან, ხელშეკრულება დადებულად ითვლება გადადების პირობით და მიიჩნევა პირობითი გარიგების ნაირსახეობად, რა დროსაც მაინც ინარჩუნებს კონსესუალურ ხასიათს.[89] განსხვავებული მოსაზრება აქვს შ.ჩიკვაშვილს, რომელიც თვლის, რომ ქორწინების რეგისტრაციის არ არსებობის პირობებში საქორწინო კონტრაქტის გაუქმება არ შეესაბამება მის შინაარსს.[90] თუ დაქორწინება დამოკიდებულია იმ პირთა ნებაზე, ვინც უკვე გააფორმა საქორწინო ხელშეკრულება, იგი რაიმე გარემოებაზე არ იქნება დამოკიდებული და ვერ ჩაითვლება მოვლენად,

---

[86] Бондов С.Н, Брачный Договор, 2001, ст.58

[87] Муратова С.А Тарсамаева Н.Ю, Семеиное право М., 1999, ст.93

[88] ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი 2000 გვ.403

[89] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი, თბილისი 2013, გვ.178

[90] ჩიკვაშვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 1999, გვ.108

რომლის შესახებაც უცნობია დადგება თუ არა იგი და ამდენად, არ მიიჩნევა პირობით გარიგებად.[91] რასაც ვერ დავეთანხმები, დაქორწინების თაობაზე შეთანხმება არ ნიშნავს იმას, რომ იგი ყოველთვის რეგისტრაციით დასრულდება, ამიტომ ქორწინება წარმოადგენს გარემოებას, რომელიც უცნობია დადგება თუ არა, აქედან გამომდინარე მიიჩნევა ქორწინების რეგისტრაციამდე დადებული საქორწინო ხელშეკრულება პირობით გარიგებად.[92]

5.1.2. საქორწინო ხელშეკრულების დადება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისა და მხარდამჭერის მიმღების მიერ

საქორწინო ხელშეკრულების დადებასთან უშუალო კავშირშია მხარეთა ქმედუნარიანობა. ქმედუნარიანობა გულისხმობს ადამიანის შესაძლებლობას, სრულად აცნობიერებდეს კონკრეტული ქმედების სამართლებრივ მნიშვნელობასა და შედეგებს. ქმედუნარიანობა იძლება სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობის შესაძლებლობას, როდესაც პირი საკუთარი ნება-სურვილით თავადვე განსაზღვრავს მისთვის სამართლებრივი შედეგების მომტანი ქმედების განხორციელებას. ქმედუნარიანობა არის პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, რომელიც წარმოიშობა სრულწლოვანების მიღწევისთანავე, სრულწლოვანად კი ითვლება პირი, რომელმაც მიაღწია თვრამეტი წლის ასაკს. მოქმედი კანონმდებლობა, ასევე, იცნობს შეზღუდულქმედუნარიანი პირის ცნებას და ასეთად მიიჩნევს პირს, რომელიც ალკოჰოლის ან ნარკოტიკის მოხმარების გამო, მძიმე მდგომარეობაში აყენებს ოჯახს და რომელსაც ამ გარემოებების გათვალისწინებით, ასეთად ცნობს სასამართლო კანონით დადგენილი წესით. სწორედ ამ პრინციპებზე დაყრდმონით განამტკიცებს სსკ-ს 1175-ე მუხლი, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის შესაძლებლობას დადოს საქორწინო კონტრაქტი, ქორწინების რეგისტრაციამდე მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით. მზრუნველის თანხმობის გარეშე დადებული გარიგება, მისივე სარჩელის საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია აღიაროს ბათილად. ასეთივე წესით ხდება საქორწინო ხელშეკრულების დადება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, იმ განსხვავებით, რომ თუ კანონიერი წარმომადგენელი მეურვეა დამატებით საჭიროა საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობა,

[91] ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი 2004, გვ.197
[92] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი, თბილისი 2013, გვ.179, სქოლიოN1

ხოლო თუ კანონიერი წარმომადგენელი მზრუნველია - მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს თანხმობა.[93]
რაც შეეხება მხარდამჭერის მიერ დადებულ საქორწინო ხელშეკრულებას. სამოქალაქო კოდექსი დამოუკიდებლად ითვალისწინებს მხარდაჭერის ინსტიტუტს. აღნიშნული ინსტიტუტი წარმოადგენს სიახლეს ქართულ კანონმდებლობაში, 2015 წლის პირველი აპრილიდან ამოქმედდა ცვლილება სამოქალაქო კოდექსში, რომელმაც გააუქმა შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით პირის ქმედუუნარობის შესაძლებლობა და ისინი სრულად ქმედუნარიანად აღიარა. სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, ,,მხარდაჭერის მიმღები არის ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი, რომელსაც აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში.“ ამასთან, აღნიშნული დაბრკოლებები სათანადო რჩევისა და დახმარების გარეშე მნიშვნელოვნად უნდა ართულებს პირის მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვას და ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას. მხარდაჭერის მიმღებ პირთა უფლება, სხვებთან თანაბარ პირობებში, მხარდაჭერითი მექანიზმის საშუალებით განახორციელონ უფლებები, გულისხმობს მხარდაჭერის მიმღებისათვის მხარდამჭერის დანიშვნას, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროში, რომელიც გაცნობიერებული გადაწყვეტილების მისაღებად ახდენს მხარდაჭერის მიმღების ინფორმირებას, შესაბამისი საკომუნიკაციო საშუალებებით, მისთვის გასაგები ფორმით. მხარდაჭერის მიმღებ პირს შეუძლია განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და ვალდებულებები დამოუკიდებლად, ხოლო იმ სფეროში, სადაც დანიშნული ჰყავს მხარდამჭერი - შესაბამისი მხარდაჭერის განხორციელების მეშვეობით.
სამოქალაქო აქტების შესახებ საქართველოს კანონის 54-ე მუხლი ქორწინების რეგისტრაციის დამაბრკოლებელ გარემოებად მიიჩნევს იმ პირთა შორის ქორწინების რეგისტრაციას, რომელთაგან თუნდაც ერთი ცნობილია მხარდამჭერის მიმღებად. ქორწინების რეგისტრაციამდე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ზედამხედველობით, აგრეთვე მხარდამჭერის ჩაბმით, იმ ნაწილში, რომელიც გათვალისწისნებულია სასამართლოს გადაწყვეტილებით, უნდა დაიდოს საქორწინო კონტრაქტი, რომლის

[93] გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მ.1411, თბილისი 2010, გვ. 255

შესრულებაზე, მხარდამჭერის მიერ თავისი მოვალეობების განხორციელების ნაწილში, პასუხისმგებლობაც მთლიანად ეკისრება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. ხოლო თუ საქორწინო კონტრაქტი იდება უშუალოდ მხარდამჭერის მიმღებსა და მხარმდაჭერს შორის მისი დადების პროცესში ჩაბმული უნდა იქნას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შესაბამისი უფლებამოსილი თანამშრომელი. ამასთან, აღნიშნული კონტრაქტი იმაზე მეტად არ უნდა ზღუდავდეს მხარდამჭერის მიმღების ქონებრივ უფლებებს, ვიდრე ეს განსაზღვრულია სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით.

5.2. საქორწინო ხელშეკრულების ფორმა

,,გარიგების ფორმა, ნების გამოვლენის არსებობის გარეგნული გამოხატვაა, რომელსაც კანონი სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს.“ ნების გამოვლენა შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა საშუალებით, იქნება ეს წერილობით ან ზეპირად, მოქმედებით თუ უმოქმედობით, დუმილით ან კონკლუდენტური მოქმედებით. თითოეული მათგანი ნების გამოვლენის ფორმებს წარმოადგენს.[94] სსკ-ს 68-ე მუხლის მიხედვით, გარიგების ნამდვილობისთვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. ასეთის არ არსებობის შემთხვევაში კი მხარეებს თავად შეუძლიათ განსაზღვრონ იგი.
სსკ-ს 1174-ე მუხლით საქორწინო ხელშეკრულების მიმართ მოქმედებს იმპერატიული მოთხოვნა დაიდოს იგი წერილობითი ფორმით და დადასტურდეს სანოტარო წესით. მარტივი წერილობითი ფორმის შემთხვევაში გარიგების ნამდვილობისთვის საკმარისია გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერა. ასევე, არსებობს გარიგების რთული წერილობითი ფორმაც, რომლის დროსაც მხარეთა ხელმოწერასთან ერთად სავალდებულოა ნოტარიუსის მიერ მისი სანოტარო წესით დამოწმება ან/და დადასტურება. ერთმანეთისაგან განსხვავდება სანოტარო დამოწმება და სანოტარო დადასტურება. სანოტარო დამოწმების დროს ნოტარიუსი ამოწმებს გარიგების ტექსტის შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან. სანოტარო დადასტურების დროს ნოტარიუსი პასუხს არ აგებს დოკუმენტის შინაარსზე და ვალდებული არ არის ტექსტი გააცნოს მხარეებს. იგი ამოწმებს მხოლოდ დოკუმენტზე მხარეთა ხელმოწერას. როგორც პროფესორი ლ.ჭანტურია განმარტავს გარიგების სანოტარო წესით დამოწმება ხდება სტრუქტურულად რთული და მნიშვნელოვანი გარიგებების დროს, როგორიცაა, უძრავი ქონების

[94] ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი 2000, გვ.346

შეძენა და სხვა.[95] ამ დროს ნოტარიუსის მიერ სანოტარო აქტის შედგენისას ხდება სანოტრო მოქმედების მონაწილეთა ქმედუნარიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრა, მხარეთათვის სანოტარო აქტის შინაარსისა განმარტება, მხარეთა ნების ნამდვილობისა და გარიგების კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმება. სანოტარო დადასტურების დროს კი ნოტარიუსი ამოწმებს სანოტარო მოქმედების მონაწილეთა მხოლოდ პირადობას, ქმედუნარიანობას და ამოწმებს მათ მიერ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერის ნამდვილობას, რა დროსაც არ არის ვალდებული წაუკითხოს მხარეებს გარიგების ტექსტი და შესაბამისად, არც დოკუმენტის შინაარსზე არის პასუხისმგებელი. აღნიშნულს ვერ დავეთანხმები, რადგან ნოტარიატის შესახებ კანონის 50-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ,,თუ სანოტარო დოკუმენტი შეიცავს სანოტარო მოქმედების მონაწილის ნების გამოვლენას, ნოტარიუსმა დოკუმენტის ხელმოწერამდე მას უნდა წაუკითხოს დოკუმენტის ტექსტი". სანოტარო დოკუმენტი, ამ შემთხვევაში, საქორწინო კონტრაქტი წარმოადგენს სწორედაც რომ გარიგებას, ხოლო სანოტარო მოქმედების მონაწილე მხარეს - გარიგების მხარე, მეუღლე ან დასაქორწინებელი პირი.[96]

საქორწინო კონტრაქტის ნამდვილობის პირობები იდენტურია ნებისმიერი სხვა სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებისა. ამდენად, ნოტარიუსი ვალდებულია აუხსნას მხარეებს ხელშეკრულების აზრი და მნიშვნელობა, შეამოწმოს შეესაბამება თუ არა მათი ნება ხელშეკრულების შინაარსს და ხომ არ ეწინააღმდეგება იგი კანონის მოთხოვნებს. ნოტარიუსმა გარიგების ბათილობის გამოსარიცხად უნდა გაარკვიოს აცნობიერებს თუ არა პირი თავისი ქმედებების მნიშვნელობას, ხომ არ ცდება ხელშეკრულების გაფორმებისას, ხელშეკრულების დადებისას ხომ არ ხდება მხარის იძულება, მოტყუება ან ძალდატანება, ან ხომ არ არსებობს რაიმე სხვა გარემოება, რაც შეიძლება გახდეს ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი. ასევე იგი ვალდებულია განუმარტოს მხარეებს მათი უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა. ნოტარიუსს ეს ვალდებულება ეკისრება, რადგან იმ პირთა იურიდიული გაუთვითცნობიერებლობა, რომლებიც მას მიმართავენ, არ იქნას გამოყენებული მათსავე წინააღმდეგ, რაც უზრუნველყოფს სამოქალაქო-სამართლებრივი ბრუნვის სტაბილურობას და მოქალაქეთა ინტერესების დაცვას.[97]

საქორწინო ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადება გათვალისწინებულია ევროპის ბევრი ქვეყნის კანონმდებლობით,

---

[95] ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი 2000, გვ. 352-353

[96] თუმანიშვილი გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია 2010, გვ.86

[97] ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი 2004, გვ.186-187

მაგალითად, საფრანგეთში საქართველოს მსგავსად აუცილებელია საქორწინო კონტრაქტის ნოტარიულად დამოწმება, იტალიაში მისი დარეგისტრირება ადგილობრივ ორგანოში, ხოლო თუ საკითხი ეხება უძრავ ქონებას, კონტრაქტი უნდა დარეგისტრირდეს იმ ორგანოში, სადაც ხორციელდება უძრავ ქონების რეგისტრაცია.[98] ამ მხრივ საინტერესოა საქართველოში მოქმედი სასამართლო პრაქტიკა იმ უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაზე, რომელიც შეძენილია ქორწინების განმავლობაში და საჯარო რეესტრში ქონების მესაკუთრედ რეგისტრირებულია მხოლოდ ერთი მხარე. ამ შემთხვევაში სანივთო სამართლებრვი ნორმას უნდა მიენიჭოს უპირატესობა თუ საოჯახო სამართლებრივ ნორმას? სანივთო სამართლებრივი ნორმის მიხედვით, ნივთის გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, რა დროსაც ამ უკანასკნელის მიერ ქონების მარტვისას არ იქნება საჭირო მეორე მეუღლის თანხმობა, განსხვავებით საოჯახო სამრთლებრივი ნორმისგან, სადაც ქორწინების განმავლობაში შეძენილ, ერთ-ერთი მეუღლის სახელზე რეგისტრირებულ ქონებაზე წარმოიშობა თანასაკუთრება და შესაბამისად ბათილი იქნება შესაბამისი გარიგება, თუ გაირკვევა, რომ ნივთის გასხვისებაზე არ არსებობს ორივე მეუღლის თანხმობა და გარიგების დამდები პირი ინფორმირებული იყო ამის შესახებ. ზოგიერთი იურისტის აზრით, სასამართლო უპირატესობას ანიჭებს სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნორმებს, რითაც ხორციელდება მესამე პირთა ინტერესების დაცვა, რა დროსაც დაუცველი რჩება ერთ-ერთი მეუღლე, რომელსაც საოჯახო-სამართლებრივი ნორმების მიხედვით აქვს თანაბარი უფლებები, საჯარო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრირებული მეუღლის მსგავსად.[99] განსხვავებულად ფიქრობს პროფესორი ეკა ზარნაძე, რომელიც თვლის, რომ საკითხის ამგვარი გადაჭრით არ ხდება არც ერთი მეუღლის ინტერესის უგულებლყოფა, რადგან თუ მხარეებს შორის არ არის დადებული საქორწინო კონტრაქტი, ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებაზე წარმოეშობათ მათ თანასაკუთრების მოთხოვნის უფლებას, შესაბამისად უძრავი ქონების შეძენის შემთხვევაში შესაძლოა ორივე მათგანის რეგისტრაცია სააჯარო რეესტრში, როგორც თანამესაკუთრეებად, ან მოგვიანებით, შესაძლოა საჯარო რეესტრის მიერ ცვლილებების შეტანა აღნიშნულ ჩანაწერში. უმჯობესი იქნება, საოჯახო-სამართლებრივ ნორმათა შინაარსის დაკონკრეტება. კერძოდ, მეუღლეთა ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებაზე, რომელზედაც საკუთრება ვლინდება საჯარო

[98] Антокольская М.В, Семеиное право, М., 2002, ст 158-159

[99] ჩიკვაშვილი შ., მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის საკითხებზე სასამართლო დავების გადაწყვეტის ზოგიერთი თავისებურებები, ჟურნალი ქართული სამართლის მიმოხილვა N10, 2007, გვ.120-124

რეესტრიდან ანიჭებთ მათ თანაზიარი საკუთრების მოთხოვნის უფლებას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით და თანასაკუთრებაც მოცემულ ქონებაზე წარმოიშობა მხოლოდ რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.[100] უზენაესი სასამართლო პრაქტიკით, უპირატესობა ენიჭება საჯარო რეესტრში დაცულ მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციას. ნებისმიერი პირი გარიგების დადების დროს შეიძლება დაეყრდნოს მხოლოდ საჯარო რეესტრში მოცემულ ინფორმაციას, აღნიშნული პრინციპი აღიარებული და განმტკიცებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობით. როგორც პროფესორი ბესარიონ ზოიძე აღნიშნავს: ,,დაუშვებელია მესამე პირთა მიმართ დადგეს სამართლებრივი შედეგი, თუ ამ სამართლებრივი შედეგის გამომწვევი ინფორმაცია არ არის დადგენილი ფორმით საჯაროდ გაცხადებული, ხელმისაწვდომი კონტრაჰენტისთვის.“[101] ნივთის კეთილსინდისიერი შემძენი არ შეიძლება დავავალდებულოთ გამოიკვლიოს გამყიდველი იმყოფება თუ არა რეგისტრირებულ ქორწინებაში და შესაბამისად მოსთხოვოს მეუღლის თანხმობა. აღნიშნული გაართულებდა უძრავ ნივთთა ყიდვა-გაყიდვის წესს და შესაბამისად, სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლებას. საკუთრების უფლების დადგენა არის საჯარო რეესტრის პრეროგატივა, გარდა ამისა, უძრავი ქონების გასხვისებისას არსებობს თანხმობის პრეზუმფცია, რაც გულისხმობს მეორე მეუღლის თანხმობას გასხვისებასთან დაკავშირებით, რასაც სასამართლო პრაქტიკაც განამტკიცებს.[102] იმისათვის, რომ მეუღლეთა ქონებრივი ინტერესი მაქსიმალურად იქნას დაცული , სასურველია იმ უძრავ ნივთებთა შესახებ სავალდებულო წესით რეგისტრაციის შემოღება, რომელიც გათვალისწინებულია კანონიერ ძალაში შესული საქორწინო ხელშეკრულებით[103] და შესაბამისი ცვლილებების შეტანა საქორწინო ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებში. ამ მხრივ შესაძლებელია ნოტარიუსის მიერ საქორწინო ხელშეკრულების რეგისტრაციის შემდეგ, სადაც იარსებებს შეთანხმება უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, გადაგზავნილ იქნას საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, რომელიც

---

[100] ზარნაძე ე., მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი უძრავი ქონების მართვის და განკარგვის საკითხებზე სასამართლო დავების გადაწყვეტის ზოგიერთი თავისებურებები, ჟურნალი ქართული სამართლის მიმოხილვა N10, 2007, გვ.134

[101] ზოიძე ბ., მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმი, ჟურნალი საქართველოს ნოტარიატი, 2002, გვ.27

[102] ქავთარაძე ს., მეუღლეთა თანასაკუთრების უფლების წარმოშობის პრობლემა უძრავ ნივთებთან მიმართებით საჯარო რეესტრის რეგისტრაციის არ არსებობის პირობებში., სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, თბილისი 2012, გვ. 45-46

[103] ზარნაძე ე., მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი უძრავი ქონების მართვის და განკარგვის საკითხებზე სასამართლო დავების გადაწყვეტის ზოგიერთი თავისებურებები, ჟურნალი ქართული სამართლის მიმოხილვა N10, 2007, გვ.136

აღნიშნულ ქონებაზე დაარეგისტრირებს სამომავლო ვალდებულებას, რათა მოხდეს ყოველი მხარის ინფორმირება ნივთის შეძენის შემთხვევაში უძრავ ქონებაზე მოქმედ ვალდებულებასთან დაკავშირებით. აღნიშნულის მიზნით, ბევრ ქვეყანაში ხელმისაწვდომია საქორწინო კონტრაქტის შინაარსი დაინტერესებული პირისათვის. მონაცემები საჯაროა და ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს შეუძია მოიძიოს იგი, რაც ემსახურება მეუღლეთა კრედიტორის დაცვის მიზანს.[104] მაგალითისათვის, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1394-ე მუხლი იმპერატიულად ადგენს საქორწინო კონტრაქტის საჯაროდ გამოქვეყნების ვალდებულებას, რომელიც ითვალისწინებს სანქციას აღნიშნულის შეუსრულებლობისათვის, კერძოდ, თუ ერთ-ერთი მეუღლე ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას და დაარღვევს ამ ვალდებულებას, მის მიმართ გამოიყენება სავაჭრო რეესტრისთვის დადგენილი სასჯელის ღონისძიება, რითაც სახელმწიფო იცავს სავაჭრო ურთიერთობებში მონაწილე პირებს.[105] ვფიქრობ, საქორწინო კონტრაქტის შინაარსზე ნებისმიერი გარეშე პირის წვდომა არ არის მიზანშეწონილი, რადგან აღნიშნული ხელშეკრულება არის მეუღლეთა პირადი, პერსონალური მონაცემების შემცველი, რაც მორალურად გაუმართლებელს ხდის სავალდებულო წესით მის ხელმისაწვდომობას სხვა პირთათვის, თუმცა, ეს არ გამორიცხავს მათ ვალდებულებას აცნობონ გარიგების მონაწილე მხარეს თავიანთი ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რაც უტოვებს კრედიტორს არჩევანის შესაძლებლობას გააგრძელოს ან არ გააგრძელოს სახელშეკრულებო-სამართლებრივი ურთიერთობა მოვალე მეუღლესთან.

საქორწინო ხელშეკრულების დადებისას მხარეები ვალდებულები არიან დაიცვან ყველა ის წესი და პირობა, რომელიც წაეყენება ზოგადად ხელშეკრულებას და საოჯახო ურთიერთობებში წარმოშობილ მოთხოვნებს.[106]

საქორწინო ხელშეკრულებას უნდა გააჩნდეს ნებისმიერი ხელშეკრულებისათვის აუცილებელი რეკვიზიტები, ესენია: ხელშეკრულების დადების ადგილი და თარიღი, იმ პირთა ვინაობა და საცხოვრებელი ადგილი, რომელთა შორისაც იდება ხელშეკრულება, ხელშეკრულების შინაარსი და მხარეთა ხელმოწერა.[107] მხარეთა შორის დადებული საქორწინო ხელშეკრულება ძალაში შედის მისი სანოტარო წესით დადასტურების

---

[104] Дамирчиева Маххабат Даирман Кизы Брачный Договор, 2003, ст. 85

[105] თუმანიშვილი გ., საქორწინო კონტრაქტის ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით, ჟურნალი სამართალი N8, 2003, გვ.39

[106] ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი 2004, გვ.105

[107] ზარანდია თ., ლაზარაშვილი ლ., ჯანხოთელი შ., ტიპიური ხელშეკრულების ნიმუშები, თბილისი 2012, გვ.181

მომენტიდან და მოქმედებს ქორწინების მთელი პერიოდის განმავლობაში, თუ მასში სხვა ვადა არ არის მითითებული.[108]

5.3.საქორწინო ხელშეკრულების შინაარსი

საქორწინო ხელშეკრულების ძირითადი ნაწილი არის მისი შინაარსი, რომელიც განსაზღვრავს მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის ყველა დეტალს, იგი შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე ნაწილისაგან და თითოეულ მათგანს გააჩნდეს განსხვავებული ფუნქციონალური დატვირთვა. [109]
მეუღლეებს აქვთ შესაძლებლობა ქორწინების განმავლობაში შეძენილ თითოეულ ქონებას განუსაზღვრონ არაერთგვაროვანი სტატუსი. ამდენად, შესაძლოა მათ შორის დაიდოს რამდენიმე ხელშეკრულება როგორც უკვე არსებულ, ისე მომავალში შეძენილ ქონებაზე. აგრეთვე შეუძლიათ არ გაითვალისწინონ კანონის მიერ საერთო საკუთრებისთვის დადგენილი რეჟიმი და საკითხი მოაწესრიგონ თავიანთი შეხედულებით. თუ საქორწინო ხელშეკრულება მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობას არეგულირებს კანონისაგან განსხვავებულად, უპირატესობა ენიჭება ხელშეკრულებას. ამ დროს საქორწინო ხელშეკრულება ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების სპეციალურ წყაროდ უნდა ჩაითვალოს.[110]
საქორწინო ხელშეკრულება მოიცავს მეუღლეთა შორის არსებული საკუთრების სამ სახეს, ესენია: თანაზიარი, ინდივიდუალური და წილობრივი. ხელშეკრულებით შეიძლება შეიცვალოს როგორც ინდივიდუალური, ისე საერთო საკუთრება.[111] მეუღლეთა შორის წარმოშობილ ქონებრივ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების პროცესში მათი ნების თავისუფლად გამოვლენის საუკეთესო მაგალითია წარმოადგენს კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობა ხელშეკრულების საფუძველზე გააერთიანონ მთელი თავიანთი ქონება. ასეთი ქონება ჩაითვლება არა მარტო ინდივიდუალური საკუთრებად, არამედ თანაზიარ საკუთრებად. შესაძლებელია ინდივიდუალური და თანაზიარი ქონების მხოლოდ ნაწილის გაერთიანება, დარჩენილი ნაწილი კვლავ შეინარჩუნებს კანონით დადგენილ სამართლებრივ რეჟიმს. გაერთიანებული ქონება კი მეუღლეთა შეთანხმების საფუძველზე შეიძლება იყოს მათი საერთო საკუთრება, როგორც თანაზიარი, ისე წილობრივი ფორმით. საქორწინო

---

[108] ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე ნ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბილისი 2000, გვ.132
[109] შენგელია რ. ქორწინება და მეუღლეთა უფლება-მოვალეობები, თბილისი 2001, გვ.113
[110] ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე ნ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბილისი 2000, გვ.135
[111] ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი 2004, გვ.191

ხელშეკრულებით განსაზღვრული საერთო წილობრივი საკუთრების მფლობელობაზე, სარგებლობასა და განკარგვაზე მოქმედებს სსკ-ის 173-ე მუხლით დადგენილი წესები.[112]

ხელშეკრულებაში შეიძლება გათვალისწინებული იქნას მხარეთა უფლება-მოვალეობები ურთიერთრჩენის შესახებ, ასევე მათი მონაწილეობის მიღება შემოსავლებში. შემოსავლებში მონაწილეობა უნდა იყოს თანაზიარი, მაგრამ არა აუცილებლად ეკვივალენტური.[113]

საქორწინო კონტრაქტის შინაარსი აგრეთვე შეიძლება შეიცავდეს შეთანხმებას ოჯახის მიერ გაწეულ ხარჯებში მეუღლეთა მონაწილეობის წესისა და პირობების შესახებ. აქ იგულისხმება ქონება, რაც თითოეულს დარჩება განქორწინებისას, მიუხედავად ამ ქონებაზე თანასაკუთრების რეჟიმს არსებობისა. ვინაიდან, თუ ქორწინება შეწყდება ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებით ამოქმედდება ნორმები მემკვიდრეობის შესახებ, რათა ხელყოფილ არ იქნას მემკვიდრეთა კანონიერი ინტერესები. ამდენად, გარდაცვლილი მეუღლის ქონებრივი უფლებები საქორწინო ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებული იქნას მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლის მოთხოვნას მემკვიდრეობის საფუძვლისა და წესების შესახებ.[114]

საქორწინო კონტრაქტის ყველაზე მნიშვნელოვან და აქტუალურ ნაწილს წამორადგენს მეუღლეების მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების გაყოფის წესი განქორწინებისას. აღნიშნულის გათვალისწინება საქორწინო კონტრაქტში აადვილებს განქორწინებისას ქონებრივი დავის გადაწყვეტის საკითხს, რადგან ქონებას, რომელზედაც მხარეებს სამომავლოდ შეიძლება ჰქონდეთ დავა ექნება მინიჭებული კონკრეტული საკუთრების სახე.[115]

5.3.1. საქორწინო ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობათა შეზღუდვა

მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის კანონით რეგულირების დროს არ არის გათვალისწინებული მათი უფლება-მოვალეობათა შეზღუდვა. საქორწინო ხელშეკრულებით კი მეუღლეებმა შეთანხების საფუძველზე შეუძლიათ შეზღუდონ ისინი, თუმცა შეზღუდვის საფუძველს განსაზღვრავს კანონი. კანონი ადგენს, რომ საქორწინო ხელშეკრულებით შესაძლებელია მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობების შეზღუდვა განსაზღვრული დროით ან რაიმე პირობის დადგომით. სხვა საფუძვლით მათი შეზღუდვა

---

[112] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი, თბილისი 2013, გვ. 182

[113] ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი 2004, გვ.192

[114] ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი 2004, გვ.193

[115] თუმანიშვილი გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია 2010, გვ.91

დაუშვებელია. მეუღლეთა ამგვარი უფლება არის იმის დასტური, თუ როგორ იძლება საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტი მათი ნება-სურვილის გათვალისწინების შესაძლებლობას.[116]

განსაზღვრული დროით უფლება-მოვალეობათა შეზღუდვა სახეზეა მაშინ , როდესაც საქორწინო კონტრაქტი იდება განსაზღვრული დროით. ასეთ შემთხვევაში, მეუღლეთა მიერ განსაზღვრული უფლება-მოვალეობები მოქმედებს შესაბამისი ვადით. შესაძლოა მეუღლეებმა ვადიან საქორწინო ხელშეკრულებაში ვადასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვაც გაითვალისწინონ. მაგალითად, შეიძლება შეთანხმდნენ იმაზე, რომ მათ შორის დადებული რვა წლიანი ხელშეკრულების პირველი ოთხი წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი ინდივიდუალური საკუთრება იყოს, ხოლო მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში შეძენილი - საერთო თანაზიარი. ამგვარი შეთანხმება შეიძლება დაიდოს, როცა მხარეები არ არიან დარწმუნებულნი ქორწინების სტაბილურობაში. კანონი ზუსტად არ განსაზღვრავს იმ პირობას, რაც შეიძლება დაედოს საფუძვლად მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობების შეზღუდვას. მათი განსაზღვრა მეუღლეთა პრეროგატივაა.[117]

საქორწინო კონტრაქტით მეუღლეთა უფლება-მოვალეობები შესაძლებელია დაუკავშირდეს გარკვეული პირობის დადგომას. მაგალითად, ბავშვის დაბადებამდე მათი ქონება იქნება განცალკევებული, ხოლო დამადების შემდეგ საერთო, ან პირიქით.

5.3.1.1. დათქმა ცოლ-ქმრული ღალატის შესახებ, როგორც საქორწინო კონტრაქტის შემადგენელი ნაწილი

ხშირად განქორწინების მიზეზი შეიძლება გახდეს ერთ-ერთი მეუღლის უღირსი საქციელი, ცოლ-ქმრული ღალატი, ქრონიკული ალკოჰოლიზმი, ნარკომანია თუ ხულიგნური ქმედებები. აღნიშნული საფუძვლით, საქორწინო ხელშეკრულების არსებობის პირობებში, განქორწინება ხორციელდება ამერიკის შეერთებულ შტატების, ევროპისა და დსთ-ს ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოშიც. წინამდებარე დათქმის შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ თუ განქორწინების საფუძველი გახდება რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილ პირობათაგანი, მხარეთა შეთანხმებით, საქორწინო ხელშეკრულების საფუძველზე, უღირს მეუღლეს მიეკუთვნება ქონების ¼, ხოლო დარჩენილი ¾ ნაწილის მესაკუთრე იქნება მეორე მეუღლე. ამ

[116] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი, თბილისი 2013, გვ. 183

[117] ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე ნ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბილისი 2000, გვ.138

შემთხვევაში განქორწინება ხორციელდება სასამართლო წესით და შესაბამისად სასამართლოს მიერ ხორციელდება მომხდარი ფაქტი შეფასება და მტკიცებულებათა დაყრდნობით დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანა. მარტივად არის საქმე, როდესაც ჩადენილია ხულიგნობა ან სახეზეა ქრონიკული ალკოჰოლიზმისა და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების ფაქტები, რადგან თუ მეუღლის მიერ განხორციელებულია ხულიგნური ქმედება, აღნიშნული წარმოადგენს სისხლის-სამართლებრივ დანაშაულს და შესაბამისად ისჯება კანონით დადგენილი წესით, რა დროსაც სასამართლოსათვის მნიშვნელოვან მტკიცებულებას წარმოადგენს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო ნარკოტიკული და ალკოჰოლური საშუალების მოხმარებისას, მტკიცებულებად შეიძლება იქნას მიღებული სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა ან თუნდაც მოწმის ჩვენებები. ამ შემთხვევათა არსებობის პირობებში, სასამართლოს აქვს იმის საშუალება, რომ მიიღოს მოტივირებული გადაწყვეტილება. რთულად არის საქმე როდესაც საუბარია დათქმაზე ცოლ-ქმრული ღალატის შესახებ, რადგან აღნიშნული ცნების განმარტება არ არსებობს იურიდიულ ლიტერატურაში. ცოლ-ქმრული ღალატი შესაძლოა სხვადასხვაგვარად იქნას გაგებული თითოეული ადამიანისათვის, და ეს დამოკიდებულია პიროვნების ინდივიდუალურ ხასიათზე, მის აღზრდაზე, მსოფლმხედველობასა თუ მენტალურ ღირებულებებზე. აქედან გამომდინარე, თუ მხარეები გადაწყვეტენ დათქმა ცოლ-ქმული ღალატის შესახებ განსაზღვრონ საქორწინო ხელშეკრულების პირობად, უმჯობესი იქნება იქვე გააკეთონ განმარტება, თუ რას მიიჩნევენ ისინი ღალატად, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოსათვის რთული იქნება აღნიშნული დათქმის შინაარსი განმარტება და აქედან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღება. ამიტომ, საქორწინო ხელშეკრულებაში მსგავსი დათქმის გათვალისწინება აუცილებლად საჭიროებს შინაარსობრივ შევსებასა და განმარტებას, ანუ საქორწინო კონტრაქტში უნდა იქნას გათვალისწინებული ამომწურავი ახსნა-განმარტება, თუ რას მიიჩნევენ მხარეები ცოლ-ქმრულ ღალატად.[118]

5.3.2. მოვალეობები, რომელთა შეცვლაც საქორწინო ხელშეკრულებით დაუშვებელია

საქორწინო ხელშეკრულება იძლევა მეუღლეთა მიერ ქონებრივი ურთიერთობის რეგულირების შესაძლებლობას თითქმის ყველა სფეროში. მეუღლეთა ქონების სამართლებრივი რეჟიმის განსაზღვრა მთლიანად

[118] თუმანიშვილი გ., დათქმა ცოლ-ქმრული ღალატის შესახებ, როგორც საქორწინო ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი, ჟურნალი სამართალი N3, 2003, გვ. 36-37

მხარეთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული და კანონი არავითარ შეზღუდვას არ უწესებს მათ. ქონებრივ უფლება-მოვალეობათა სხვა სახეებთან დაკავშირებით კანონი გარკვეული სიფრთხილეს მოქმედებს,რაც გამომდინარეობს ოჯახის სხვა წევრთა ინტერესებიდან. ეს სფერო მოიცავს როგორც მეუღლეთა ქონებრივ ვალდებულებებს, ასევე ზოგიერთ მათთან დაკავშირებულ უფლებებსაც. სსკ-ს 1179-ე მუხლი ზუსტად განსაზღვრავს იმ უფლება-მოვალეობებს, რომელთა შეზღუდვა ან შეცვლა იმპერატიულად დაუშვებელია საქორწინო კონტრაქტში. ესენია, პირადი ხასიათის ქონებრივი ურთიერთობები, კერძოდ, კანონით დადგენილი მეუღლეთა ურთიერთრჩენის ვალდებულება, რადგან მის შეცვლას შეიძლება მოჰყვეს ერთ-ერთი მეუღლის ან ორივეს მატერიალური მდგომარეობის გაუარესება, ასევე მშობელთა უფლება-მოვალეობები შვილების მიმართ, მათ შორის საალიმენტო ვალდებულებები, არ შეიძლება მეუღლეებმა საერთოდ გაინთავისუფლონ თავი შვილების რჩენა-აღზრდისგან, ან ყოველივე ეს დააკისრონ მხოლოდ ერთ მხარე. აგრეთვე, არ შეიძლება მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში, მის გადასაწყვეტად სასამართლოსადმი მიმართვის კანონით განსაზღვრული უფლების შეცვლა, რადგან იგი ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ კონსტიტუციურ პრინციპებს.[119] ამასთან, ხელშეკრულებით არ შეიძლება გათვალისწინებული იქნას ისეთი პირობა, რომელიც მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს ერთ-ერთ მეუღლეს. ასეთი პირობის გათვალისწინება დაუშვებელია მაშინაც კი, როცა მეორე მეუღლე ამაზე თანახმაა.

ამდენად, საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიძლება შეიცვალოს:

- მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა,
- მშობლების უფლება-მოვალეობები შვილების მიმართ,
- საალიმენტო მოვალეობანი და
- დავის შემთხვევაში - სასამართლოსადმი მიმართვის უფლება,
- ასევე, ხელშეკრულებით არ შეიძლება გათვალისწინებული იქნას ისეთი პირობები, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში აყენებს ერთ-ერთ მეუღლეს.

[119] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი, თბილისი 2013, გვ. 185-186

6.საქორწინო კონტრაქტის შეცვლის, შეწყვეტისა და ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძვლები

6.1.საქორწინო ხელშეკრულების პირობების შეცვლა სასამართლოს მიერ

კანონი ითვალისწინებს საქორწინო ხელშეკრულების შესრულების პროცესში სასამართლოს ჩართულობას. რადგან საქორწინო კონტრაქტი მოქმედებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ბუნებრივია, შესაძლოა შეიცვალოს პირობები, რომლებიც არსებით ზეგავლენას მოახდენს მეუღლეთა მიერ ხელშეკრულების დადების დროს გათვალისწინებულ პირობებზე. სასამართლოს მიერ საქორწინო კონტრაქტის პირობების შეცვლა მიზნად ისახავს დაინტერესებული მეუღლის ქონებრივი ინტერესის დაცვას.[120] მათ განეკუთვნება, პირობები, რომელთა შესრულებაც უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ერთ-ერთ მხარეს. სასამართლოს აღნიშნული პირობის შეცვლისთვის უნდა გააჩნდეს პატივსადები მიზეზი, ასეთია, მაგალითად, ერთ-ერთი მეუღლის მიერ შრომის უნარის დაკარგვა. ზოგადად კანონმდებლობა განამტკიცებს მეუღლეთა კანონისმიერ ქონებრივ რეჟიმს, რომელიც ექვემდებარება საერთო წესს, განქორწინების შემთხვევაში ქონების გაყოფასთან დაკავშირებით, მაგრამ თუ მხარე ირჩევს სახელშეკრულებო ქონებრივ ურთიერთობას და ადგენს ქონების განაწილების განსხვავებულ წესს, ბუნებრივია, ერთ-ერთი მხარე ყოველთვის დაზარალებული იქნება და კონტრაქტი შედგება მისი ინტერესების საზიანოდ, თუმცა საზიანოობა უნდა განიმარტოს ადეკვატურად, თავად ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე. ანუ პირი იქნებოდა უკეთეს მდგომარეობაში ეს ხელშეკრულება რომ არ არსებულიყო, თუმცა ეს საზიანოობა უნდა იყოს იმდენად უსამართლო, რომ გახდეს შეუთავსებელი სამართლის ზოგად პრინციპებთან და მიუხედავად სახელშეკრულებო თავისუფლებისა, მოხდეს სასამართლოს მიერ ჩარევა.

აქვე შეგვიძლია განვიხილოთ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება, რომელმაც არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა, მხარეთა შორის დადებული საქორწინო ხელშეკრულების პირობების შეცვლის მოთხოვნის ნაწილში. მოსარჩელე ითხოვდა მეუღლესთან 2005 წლის 3 აგვისტოს დადებული საქორწინო ხელშეკრულების პირობების შეცვლას, რადგან მისი განმარტებით იგი იყო დისკრიმინაციული ხასიათის, მძიმე და უკიდურესათ არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებდა მოსარჩელე მხარეს. მხარეებმა მათ შორის

[120] ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე ნ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბილისი 2000, გვ.143

დადებული საქორწინო კონტრაქტით, ქორწინებამდელი და ქორწინების განმავლობაში შეძენილი ძვირფასეულობის მიმართ დაადგინეს საერთო საკუთრების რეჟიმი, ხოლო მოპასუხის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, თუნდაც ქორწინების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაზრდილიყო ამ ქონების ღირებულება, დაადგინეს მოპასუხის ინდივიდუალური საკუთრება, რითაც მათ შეცვლაეს მეუღლეთა საერთო საკუთრებისთვის კანონით დადგენილი წესი. ქორწინების განმავლობაში შეძენილი ძვირფასეულობა, ძვირფასი ლითონებითა და იშვიათი ქვებისაგან დამზადებული საგნები, ანტიკვარული ნივთები არ ჩაითვლებოდა ინდივიდუალურ საკუთრებად, თუ მისი ღირებულება იქნებოდა 500 აშშ დოლარზე მეტი და განქორწინების დროს გაიყოფოდა როგორც საერთო საკუთრება. ასევე, მოპასუხე ვალდებული იქნებოდა მოსარჩელისათვის სარგებლობაში გადაეცა საცხოვრებელი ბინა, რომლის ღირებულება არ იქნებოდა 12 000 აშშ დოლარზე მეტი, თუ მათ ეყოლებოდათ საერთო შვილი, ხოლო 6000 აშშ დოლარზე მეტი, თუ მათ არ ეყოლებოდათ საერთო შვილი. მოსარჩელე ითხოვდა შეთანხმების გაუქმებას ძვირფასეულობასთან დაკავშირებით, ასევე სურდა გაზრდილიყო იმ ბინის ღირებულება, რომელიც უნდა გადასცემოდა მას საცხოვრებლად. სასამართლოს განმარტებით, სსკ-ს1179-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, საქორწინო კონტრაქტით არ შეიძლება გათვალისწინებილი იქნას იმგვარი პირობა, რომელიც მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს ერთ-ერთ მხარეს. ამასთან, 1181-ე მუხლის მიხედვით, დაინტერესებული მეუღლის განცხადებით, პატივსადები მიზეზის არსებობისას, შესაძლებელია სასამართლოს მიერ შეცვლილ იქნას კონტრაქტის ის პირობა, რომელიც უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენებს მეორე მხარეს. ვინაიდან, ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა, რომ სადავო პირობები იწვევდა მის არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენებას, სასამართლოს გადაწყვეტილებით, 1176-ე მუხლის შესაბამისად არ არსებობდა ხელშეკრულების პირობების შეცვლის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლები.[121]

6.2. საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტა

სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს არა მხოლოს საქორწინო კონტრაქტის პირობების შეცვლის შესაძლებლობას, არამედ მასზე ავრცელებს გარიგებასთან დაკავშირებულ ზოგად პრინციპებს ხელშეკრულების

[121] თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, 14.03.2013, მოსამართლე ლეილა კოხრეიძე.

შეწყვეტის პირობებთან დაკავშირებით. საქორწინო კონტრაქტის შეწყვეტის კანონით დადგენილი საფუძვლებია: მეუღლეთა ურთიერთშეთანხმება, განქორწინება და კონტრაქტის ვადის გასვლა.[122] მხარეთა შორის ნებისმიერი შეთანხმების მსგავსად, საქორწინო ხელშეკრულებაც ნებელობითი აქტია. სწორედ ამიტომ ითვალისწინებს სსკ-ს 1180-ე მუხლი ნებისმიერ დროს საქორწინო კონტრაქტის შეცვლის ან შეწყვეტის საფუძვლად მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებას.

შესაძლოა ერთ-ერთი მეუღლის მდგომარეობის შეცვლამ გამოიწვიოს ხელშეკრულების შეწყვეტა, მაგრამ არა ცალმხრივი უარის საფუძველზე, რადგან ცალმხრივი უარი საქორწინო ხელშეკრულებაზე დაუშვებელია.[123] ამასთან, საქორწინო კონტრაქტი სამართლებრივად შეწყვეტილად შეგვიძლია ჩავთვალოთ მაშინ, როდესაც საქორწინო ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პირობები, ვალდებულებები შესრულდება სრულად.[124]

მეუღლეები ვალდებულნი არიან შეატყობინონ თავიანთ კრედიტორს საქორწინო კონტრაქტის დადების, შეცვლის ან შეწყვეტის შესახებ. ეს აძლევს კრედიტორს შესაძლებლობას დროულად მიიღოს ინფორმაცია მოვალის მატერიალური მდგომარეობის შესახებ და შესაბამისად, თუ იგი გაუარესდება მიიღოს აუცილებელი ზომები თავისი ინტერესების დასაცავად. ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ კრედიტორი ვალდებულია მისთხოვოს მეუღლეებს არ მოახდინონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეცვლა, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი მოითხოვს ვალდებულ მეუღლესა და მის შორის არსებული ხელშეკრულების მოშლას, აგრეთვე მიყენებული ზიანის ანაზღაურებას კანონით განსაზღვრული წესითა და პირობებით. მოვალე მეუღლე არ არის ვალდებული გააცნოს კონტრაქტის შინაარსი კრედიტორს, თუმცა იგი ვალდებულია ხელმისაწვდომი გახადოს კრედიტორისათვის კონტრაქტის ის ნაწილი, რომელიც შეეხება მოვალის მატერიალური მდგომარეობის შეცვლას. თუ აღნიშნულის შესახებ არ ეცნობება კრედიტორს, იგი კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მოითხოვს მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შეცვლას ან შეწყვეტას, გარემოებათა არსებითი ცვლილებების გამო. არსებით ცვლილებად ითვლება მეუღლეთა შორის გაფორმებული საქორწინო კონტრაქტის შეცვლა, შეწყვეტა ან დადება, რაც არსებითად გააუარესებს მოვალე მეუღლის მატერიალურ მდგომარეობას, რისი წინასწარი გათვალისწინებაც კრედიტორს არ შეეძლო, რის გამოც შესაძლოა მასსა და მოვალე მეუღლეს შორის ხელშეკრულება საერთოდ არ დაიდებოდა ან

[122] ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი 2004, გვ.202
[123] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი, თბილისი 2013, გვ. 187
[124] თუმანიშვილი გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია 2010, გვ.102

დაიდებოდა სხვა პირობებით. თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან გარიგების პირობების შეცვლის ან მისი შეწყვეტის თაობაზე, აღნიშნულთან დაკავშირებით გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს სასამართლომ კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე. ხელშეკრულებების პირობების შეცვლა, ისე რომ უარესდებოდეს მოვალის მატერიალური მდგომარეობა დასაშვებია სასამართლოს გადაწყვეტილებით გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც გარიგების შეწყვეტა ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ინტერესებს ან ერთ-ერთ მხარეს მიაყენებს მნიშვნელოვან ზიანს. გარიგების მოშლისას მხარეთა ვალდებულებები შეწყდება სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან. თუ გარიგების შეცვლა ან შეწყვეტა მოხდება კრედიტორსა და მოვალე მეუღლეს შორის არსებული შეთანხმებით , მაშინ მხარეთა მოვალეობები შეცვლილად ან შეწყვეტილად ჩაითვლება შეთანხმების მომენტიდან, თუ ამ შეთანხმებით სხვა რამ არ გამომდინარეობს.[125]

6.3. საქორწინო ხელშეკრულების ბათილად ცნობა

რაც შეეხება საქორწინო კონტრაქტის ბათილად ცნობას, აღნიშნული შესაძლებელია იმ საერთო წესების მიხედვით, რაც დადგენილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ზოგადად გარიგებისათვის. სსკ-ს 73-ე მუხლის ,,ბ“ პუნქტის შესაბამისად, ბათილია ის საქორწინო კონტრაქტი, რომელიც დადებულია ერთი მხარის მიერ მეორეზე უარყოფითი გავლენის გამოყენებით, შეცდომაში შეყვანით, რასაც აქვს არსებითი მნიშვნელობა, როდესაც პირი ცდება გარიგების შინაარსი, მხარე თავისი ნების წინააღმდეგ ან მეორე მეუღლის სურვილით დაებს გარიგებას მაშინ, როცა აქვს ცრუ წარმოდგენა გარიგების შესახებ; სსკ-ს 56-ე მუხლის მიხედვით, ბათილია ის საქორწინო კონტრაქტი, რომელიც დადებულია მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყოლოდა; ბათილია ის საქორწინო კონტრაქტი, რომელიც დადებულია მცირეწლოვანის ან სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული პირის მიერ, აგრეთვე დადებულია სულით ავადმყოფის მიერ, თუმდაც ის სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ არ იქნას აღიარებული, ან კონტრაქტის დადება პირთან, რომელიც იმ მომენტში ვერ აცნობიერებდა თავისი ქმედების მნიშვნელობას, თუმცა ითვლებოდა ქმედუნარიანად. მაგალითად, გარიგების დადება სიმთვრალეში ან ავადმყოფურ მდგომარეობაში; სსკ-ს 59-ე მუხლის მიხედვით, ბათილია კანონით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული საქორწინო ხელშეკრულება; ბათილია სსკ-ს 81-ე და 85-ე მუხლებით გათვალისწინებული მოტყუებით, მუქარით ან იძულებით

[125] ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი 2004, გვ.200

დადებული საქორწინო კონტრაქტი, რა დროსაც მხარეს არ ჰქონდა შესაძლებლობა გამოეხატა თავისუფალი, ნამდვილი ნება და ემოქმედა საკუთარი ინტერესების შესაბამისად; ბათილია საქორწინო კონტრაქტი, რომელიც დადებულია კანონის მოთხოვნათა გვერდის ავლით ან იმგვარი მიზნით, რომელიც ეწინააღმდეგება სამართლებრივი წესრიგისა და ზნეობის ნორმებს. ზნეობის ნორმების საწინააღმდეგო გარიგებას განეკუთვნება იმგვარი შეთანხმება, რომელიც არსებითად არღვევს რომელიმე მხარის ინტერესს, არათანაბარ პირობებში და შეუსაბამოდ რთულ მდგომარეობაში აყენებს მას. ზნეობა გულისხმობს არა გარიგების მონაწილე მხარის ქცევას, არამედ ზნეობის განმარტებას თავად გარიგების შინაარსთან დაკავშირებით.[126] რაც შეეხება საჯარო წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას. აღნიშნული შესაძლოა განვიხილოთ, როგორც სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებული ძირითადი პრინციპების უგულებელყოფა, ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს სწორედ სახელშეკრულებო თავისუფლება. საჯარო წესრიგის დარღვევთ ზიანდება როგორც კონკრეტულ პირთა ინტერესი, ისე საზოგადო, სახელმწიფო ინტერესი.[127] ამ საფუძვლით ბათილი შეიძლება გახდეს საქორწინო ხელშეკრულების კონკრეტული პუნქტი, თუ მის გარეშე ხელშეკრულება იარსებებდა.

ამდენად, საქორწინო ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი შეიძლება წარმოიშვას თავად ხელშეკრულების შინაარსის განმარტებითა და ნების გამოვლენის ნამდვილობის დადგენით.

7.საქორწინო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული კოლიზიური საკითხები საერთაშორისო სამართლის ჭრილში

მნიშვნელოვანია ვისაუბროთ იმ საერთაშორისო კერძო სამართლიდან გამომდინარე კოლიზიურ საკითხებზე, რომელიც უკავშირდება საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობებს. აღნიშნული სახეზეა, როდესაც საქორწინო კონტრაქტის მონაწილე მხარეები არიან სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები. ამასთან დაკავშირებით ვისაუბრებთ ჰააგის 1905 და 1978 წლის კონვენციებზე, რომლებიც ასევე ეხება გამოსაყენებელი სამართლის საკითხებს საქორწინო კონტრაქტთან დაკავშირებულ ასპექტებში. სახელმწიფოები ხშირ შემთხვევაში თავიანთ შიდასახელმწიფოებრივ კანონებს აფუძნებენ იმ ფუნდამეტურ პრინციპებს, რომლებიც გამოყენებულია საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებში. ჰააგის 1905 წლის კონვენცია, Convention relating to confliets of laws with regardto the effects

[126] ჭანტურია ლ., ონლაინ კომენტარები, civilcode.ge , 2017, ველი მე-40,
[127] ჭანტურია ლ., ონლაინ კომენტარები, civilcode.ge , 2017, ველი 27-ე, 30-ე,

of marriage on the rights and duties of the spouses in their personal relationship and with regard to their estates, ეხება მეუღლეთა შორის ქონებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებულ კოლიზიურ საკითხებს და ყურადღებას ამახვილებს შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაზე. კერძოდ, კონვენციის პირველივე მუხლი განსაზღვრავს საქორწინო კონტრაქტის მოქმედების პირობებს და კონვენციის ნორმებს გამოსაყენებელად მიიჩნევს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მხარეთა შორის არ არსებობს საქორწინო კონტრაქტი. რაც შეეხება საქორწინო კონტრაქტის არსებობის პირობებში გადასაწყვეტ კოლიზიურ საკითხებს, თუ ერთ-ერთი მეუღლე სხვა ქვეყნის მოქალაქეა კონტრაქტის ნამდვილობის საკითხი დგინდება მეუღლე-ქმრის მოქალაქეობის ქვეყნის კანონმდებლობით. ამასთან, კონტრაქტის დადების ფორმა უნდა შეესაბამებოდეს იმ ქვეყნის კანონმდებლობას, სადაც იდება საქორწინო ხელშეკრულება. რაც შეეხება ჰააგის 1978 წლის კონვენციას, Convention on the law Applicable to Matrimonial Property Regimes, მისი ნორმები არ გამოიყენება საალიმენტო ვალდებულებებთან დაკავშირებით, მემკვიდრეობით უფლებებთან დაკავშირებით და მეუღლეთა სამართალუნარიანობასთან დაკავშირებით. ყოველივე ეს საკითხი უნდა იქნას მოწესიგებული იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც დაიდო საქორწინო კონტრაქტი. წინამდებარე დანაწესი გამომდინარეობს ჩვენი კანონმდებლობითაც და აძლევს ხელშეკრულების მხარეებს საშუალებას თავად მოაწესრიგონ ამგვარი საკითხები. 1978 წლის კონვენციის მიხედვით, მეუღლეთა მიერ შეძენილი ქონების მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი , რომელიც მათ ქორწინების დროს აირჩიეს, რითაც აღიარებს იმის შესაძლებლობას, რომ საქორწინო ხელშეკრულების დადების დროს მხარეებმა თავად აირჩიონ გამოსაყენებელი სამართალი, ის სამართალი, რომელსაც ეროვნებით განეკუთვნებიან, ერთ-ერთი მეუღლის ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილია ან სახელმწიფო, სადაც ერთ-ერთმა მეუღლემ მოიპოვა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. კომვენციის მიხედვით, გამოსაყენებ სამართლად მიჩნეულია იმ ქვეყნის კანონმდებლობა, რომელიც მხარეებმა აირჩიეს ხელშეკრულებით, უძრავი ქონების შემთხვევაში, იმ ქვეყნის სამართალი, სადაც მდებარეობს უძრავი ქონება. თუ მეუღლეებმა არ აირჩიეს გამოსაყენებელი სამართალი, გამოიყენება იმ ქვეყნის კანონმდებლობა, სადაც მეუღლეები იმყოფებიან მუდმივად საცხოვრებლად, მინიმუმ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ქორწინების შემდეგ. სხვა შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება სამართალს, რომელსაც ისინი ეროვნებით განეკუთვნებიან. განსახვავება ამ ორ კონვენციას შორის არის ის, რომ 1905 წლის ჰააგის კონვენცია უპირატესობას ანიჭებდა შიდასახელმწიფოებრივ სამართალს, განსახვავებით 1978 წლის კონვენციისაგან, რომელიც მხარეებს

ფართო არჩევანის შესაძლებობას ანიჭებს. პირველ შემთხვევაში, საქორწინო კონტრაქტის არარსებობის დროს გამოიყენება მეუღლეთა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ქონებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ხოლო კონტრაქტის იურიდიულ ძალასთან დაკავშირებით მოქალაქეობის სახელმწიფოს კანონმდებლობა. მეორე შემთხვევაში კონვენცია ბუსტამანტეს კოდექსის პრინციპთა შესაბამისად მხარეს აძლევს თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას გამოსაყენებლ სამართალთან დაკავშირებით. [128]

[128] თუმანიშვილი გ., საქორწინო კონტრაქტის ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით, ჟურნალი სამართალი N8, 2003, გვ.35-37

დასკვნა

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომით შევეცადე მაქსიმალურად ამომეწურა იმ საკითხთა განხილვა, რომელიც შეეხება საქორწინო ხელშეკრულებას. სამწუხაროდ, აღნიშნული ინსტიტუტის ქართულ კანონმდებლობაში 22 წლიანი არსებობის მიუხედავად, პრაქტიკაში იგი ნაკლებ რეალიზებულია, რაც როგორც უკვე ავღნიშნე, გამომდინარეობს ქართული მენტალობიდან, რომელიც უარს ამბობს საქორწინო კონტრაქტის განვითარებასა და არსებობაზე ქართულ რეალობაში. ვფიქრობ, ის რომ არსებობს საქორწინო ხელშეკრულებათა მწირი პრაქტიკა, უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია ქართული საზოგადოებისათვის სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირების თვალსაზრისით. აღნიშნული ხელშეკრულება მეუღლეებს აძლევს შესაძლებლობას, შეცვალონ კანონმდებლობით გათვალისწინებული ქონებრივ უფლება-მოვალეობათა დარეგულირების ზოგიერთი წესი და გადაწყვიტონ ის თავიანთი შეხედულებების შესაბამისად. საქორწინო კონტრაქტი არის რეალური შესაძლებლობა მეუღლეებმა მათ შორის წამოჭრილი სადავო ქონებრივი საკითხები მოაწესრიგონ ცივილიზებულად, რაც გახდება სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების გარანტი და შესაბამისად ოჯახის სიმტკიცის სიმბოლო. საქორწინო კონტრაქტი არის გამოსავალი მუდმივი კონფლიქტებისა და შეურაწმყოფელი ურთიერთობების თავიდან აცილებისათვის, რაც უწყობს ხელს მეუღლეთა ცივილური დამოკიდებულების ჩამოყალიბებასა და არასრულწლოვანი შვილების ინტერესების მაქსიმარულად დაცვას.

ბევრი იურისტი დადებითად აფასებს საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტს და არგუმენტად მოჰყავს ის სამართლებრივი შესაძლებლობები, რომელიც მხარეებმა შეიძლება გაითვალისწინონ და თავისუფლად გამოიყენონ მათი ოჯახური იდილიის შესაქმნელად საქორწინო ხელშეკრულების არსებობის პირობებში. ვინაიდან ქართულ საზოგადოებაში არსებობს დაბალი ცნობიერება და შესაბამისად დაბალი ინტერესი ამ ხელშეკრულების მიმართ, ამან შეიძლება შეაფერხოს ჩვენს ქვეყანაში საქორწინო ხელშეკრულების ინსტიტუტის უფრო სწრაფად განვითარება. საზოგადოების დიდი ნაწილი დატვირთულია ყოფით პრობლემებზე ფიქრითა და ზრუნვით, რაც აძნელებს ჯერ კიდევ განვითარებად ქვეყანაში სათანადო პრაქტიკის დამკვიდრებას. თუმცა ვიმედოვნებ, რომ საზოგადოებას გაუღვივდება ინტერესი და გაუჩნდება სურვილი ჩაერთოს წინამდებარე კონტრაქტის დადების პროცესში. ამისათვის აუცილებელია უზრუნველვყოთ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, მისთვის საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტის

დადებითი და უარყოფითი მხარეების წარმოჩენა და რაც ყველაზე მთავარია, სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის შეთავაზება. საქართველოს მსგავსად მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს საქორწინო კონტრაქტის ცნებას, თუმცა სასურველია თუ სხვადასხვა იურისტ-მეცნიერთა მოსაზრებათა გათვალისწინებით შემუშავდება საქორწინო ხელშეკრულების ერთიანი დეფინიცია, რაც მისცემს საზოგადოების თითოეულ წევრს იმის შესაძლებლობას, რომ უკეთ გაერკვნენ ამ ინსტიტუტის შინაარსა და მიზნებში და შესაბამისად გახადონ თავიანთი ქორწინება უფრო მტკიცე და მშვიდი. თუმცა, ამ დროისათვის ქართული კანონმდებლობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია დაცული იქნას მექორწინეთა და ნებისნიერი სხვა, მესამე პირის ინტერესები ქონებრივ საკითხებთან დაკავშირებით, რის გამოც აუცილებელია შეიქმნას ერთიანი რეესტრი, სადაც აღირიცხება ყველა ის უძრავი ქონება, რაც წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას, რომელთა გასხვისების შემდეგაც მაქსიმალურად იქნება დაცული თანამესაკუთრე მეუღლისა და მესამე პირის ინტერესი და რაც, გამორიცხავს მეორე მეუღლის მიერ თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყიდვისას, მისი მესაკუთრედ ყოფნის უფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას. როგორც თემის განხილვის პროცესში აღმოვაჩინეთ, არსებობს საკანონმდებლო ხარვეზები, რაც უახლოეს მომავალში უნდა აღმოიფხვრას და მაქსიმალურად დაიხვეწოს შესაბამისი ნორმები. კარგი იქნება თუ გავიზიარებთ სხვა ქვეყნის მოქმედ კანონმებლობაში არსებულ რეგულაციებსაც, რაც მოგვცემს საშუალებას შევქმანთ საქორწინო კონტრაქტის შეძლებისდაგვარად სრულყოფილი მარეგულირებელი ნორმები, რომლებიც მორგებული იქნება ქართული საზოგადოების ინტერესებზე.

ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ლიტერატურა:

თუმანიშვილი გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია, თბილისი 2010

თუმანიშვილი გ., საქორწინო კონტრაქტის ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით, ჟურნალი სამართალი N8, თბილისი 2003

თუმანიშვილი გ., დათქმა ცოლ-ქმრული ღალატის შესახებ, როგორც საქორწინო ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი, ჟურნალი სამართალი N3, თბილისი 2003

შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი, თბილისი 2013

შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 2015

შენგელია რ., ქორწინება და მეუღლეთა უფლება მოვალეობები, თბილისი 1999

ჩიკვაშვილი შ., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 1999

ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი 2004

ჩიკვაშვილი შ., მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის საკითხებზე სასამართლო დავების გადაწყვეტის ზოგიერთი თავისებურებები, ჟურნალი ქართული სამართლის მიმოხილვა N10, თბილისი 2007

ჯორბენაძე ს., საბჭოთა საოჯახო სამართალი, თბილისი 1957

ნადარეიშვილი გ., ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბილისი 1996

ზოიძე ბ., მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმი, ჟურნალი საქართველოს ნოტარიატი, თბილისი 2002

ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი 2000

ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე ნ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბილისი 2000

ზარანდია თ., ლაზარაშვილი ლ., ჯანხოთელი შ., ტიპიური ხელშეკრულების ნიმუშები, თბილისი 2012

ზარნაძე ე., მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი უძრავი ქონების მართვის და განკარგვის საკითხებზე სასამართლო დავების გადაწყვეტის ზოგიერთი თავისებურებები, ჟურნალი ქართული სამართლის მიმოხილვა N10, თბილისი 2007

ქანთარია ბ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თბილისი 2013

ქავთარაძე ს., მეუღლეთა თანასაკუთრების უფლების წარმოშობის პრობლემა უძრავ ნივთებთან მიმართებით საჯარო რეესტრის რეგისტრაციის არ არსებობის პირობებში., სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, თბილისი 2012

ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წიგნი N2, თბილისი 1928

ჯავახიშვილი ივ., ენციკლოპედიური ლექსიკონი, მთავარი რედაქტორი მეტრეველი რ., თბილისი 2002

ცურტაველი ი., წამება წმინდისა შუშანიკისა დედოფლისა, თბილისი 1979

დიგესტები, წიგნი 23-ე, ტიტული მე-2

ნაჭყებია ნ., მეუღლეთა სახელშეკრულებო ქონებრივი ურთიერთობა: უძრავ ქონებაზე უფლებათა რეგისტრაციის წესი და პირობები საქორწინო კონტრაქტის მიხედვით, ჟურნალი მართლმსაჯულება N3, თბილისი 2008

გადელია ნ., საქორწინო ხელშეკრულების აქტუალური საკითხები, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი N4(23), თბილისი 2009

კარტოზია მ., საქორწინო ხელშეკრულება, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი გარიგება, ჟურნალი სამართალი N6-7, თბილისი 2003

გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2012

Дамирчиева Маххабат Даирман Кизы Брачный Договор, 2003 г

Антокольская М.В, Семеиное право, М, 2002 г

Муратова С.А Тарсамаева Н.Ю, Семеиное право М., 1999 г

Бондов С.Н, Брачный Договор, 2001 г

Ворожейкинб, Правовые основы брака и семьиб, М. 1969 г

Функ Я.И., брачный Договор. Имущественные отношения супругов,их участвие в хозяйственных обществах и товариществах по законодательству Российской Федерации и Республики Беларусь, 2003 г

Frances Burton, Guide to the Family Law Act 1996, London 1996

Jonathan Herring , Family Law, Oxford University 2009

Karen Nunez-Tesheira, Commonwealth Caribbean family law Husband, wife and cohabitant, New York 2016

Kaye P, Civil Jurisdiction and inforcment Judjments, Oxford 1987

ნორმატიული აქტები:

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

საქართველოს კანონი სამოქალაქო აქტების შესახებ

საქართველოს კანონი ნოტარიატის შესახებ

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N71 სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის ინსტურქციის დამტკიცების თაობაზე

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, თბილისი 2010

სასამართლო გადაწყვეტილებები

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, 14.03.2013, მოსამართლე ლეილა კოხრეიძე

ინტერნეტ-წყაროები:

https://de.pons.com/text%C3%BCbersetzung?fbclid=IwAR1fHlFFIMkYjpspknS92iOoqno38C52EbjG1vMzTMBlzIRNQeUhl4voqiY

http://civilcode.ge/index.php?title=Main_Page